ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 30 მაისი, 2017 №126 (7361) ფასი: 50 თეთრი

## დევნილთა შემწეობები გაიზრდება

გვ.5

25 მაისიდან
ოქროს ბიბლიოთეკა
თეოდორ დრაიზერი
ამერიკული ტრაგედია
ნაწილი 2
ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი



# ედიშერ ქარჩავა: „მეუფე პეტრეს პატრიარქის მოკვლა სურდა“

## მეუფე პეტრე ცაავა: „შორენას დაჯგუფება ყველაფერზეა წამსვლელი“

გვ.3



## სერგო ჩიხლაძე: „თამბაქოს შეზღუდვას ყოველთვის კარგი შედეგი მოაქვს“

გვ.6

„2030 წლისთვის თამბაქოთი გამოწვეული სიკვდილიანობა წელიწადში 8 მილიონს მიაღწევს“

## „თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ მიხეილ ჩინჩალაძის დანიშვნა კრიზისის საუკეთესო გამოხატულებაა“

ლია მუხაშავრია: „კარგი სასამართლო კარგი მოსამართლეების გარეშე არ არსებობს“

გვ.2

გვ.2

## ინაშვილი უკრაინულ მხარეს მოუწოდებს, მიხეილ სააკაშვილი საქართველოს გადმოსცეს

## დღეს თბილისში შესაძლოა გაზის სუნი დადგეს

გვ.4

ISSN 1987-9385

## სამიტის შედეგი: „ტრამპს მეხუთე მუხლი და უკრაინის პრობლემა არც კი უხსენებია“

გვ.5

დასავლელი მიმომხილველები: „ეს განხეთქილება ხელს აძლევს რუსეთს“

2017, 30 მაისი, №126

# „თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ მიხეილ ჩინჩალაძის დანიშვნა კრიზისის საუკეთესო გამოხატულებაა“

## ლია მუხაშავრია: „კარგი სასამართლო კარგი მოსამართლეების გარეშე არ არსებობს“

ნათია ხურცილავა

ადვოკატი **ლია მუხაშავრია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ მიხეილ ჩინჩალაძის დანიშვნასა და სტრასბურის სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებზე საუბრობს.

***– ქალბატონო ლია, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ მიხეილ ჩინჩალაძე დანიშნა. როგორ შეაფასებთ საბჭოს ამ გადაწყვეტილებას?***

– როდესაც საზოგადოებაში ასეთი საყოველთაოდ ნეგატიური აზრი არსებობს კონკრეტული მოსამართლის მიმართ, იმის ნაცვლად, რომ ის მოსამართლე ამას გრძნობდეს და თანამდებობიდან გადადგეს, პირიქით, აწინაურებენ.

თბილისის სააპელაციო სასამართლო ერთ-ერთი საკვანძო სასამართლოა ქვეყანაში. ამ პოსტზე ჩინჩალაძის დანიშვნა მართლმსაჯულების სისტემაში კრიზისის საუკეთესო გამოხატულებაა. როდესაც არ ხდება ავტორიტეტული მოსამართლეების დაწინაურება, რომლებსაც მართლაც აქვთ კარგი რეპუტაცია, კითხვები ჩნდება.

თავის დროზე, როდესაც დავით სულაქველიძე დაინიშნა სააპელაციოს თავმჯდომარედ, სისტემის რეფორმა ახალი დაწყებული იყო, ჯერ კიდევ 1998 წელი იყო. ეს ადამიანი ერთ-ერთი ტელევიზიის პირდაპირ ეთერში იყო მიწვეული და ჟურნალისტის კითხვებს პასუხობდა. ძალიან ბევრი ადამიანი ქუჩაში მაჩერებდა და მეუბნებოდა, როგორ დარწმუნდნენ ისინი სასამართლოს რეფორმაში და აქცენტს ბატონი დავითის პიროვნებაზე აკეთებდნენ. ამიტომ ვამბობ, რომ პიროვნებებს ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. მაშინ მთელი სამოქალაქო საზოგადოება სასამართლოსა და მოსამართლეების გვერდით ვიდექით.

***– ახლა შეგიძლიათ იგივე თქვათ?***

– სამწუხაროდ, არ მაქვს საფუძველი, რომ ეს განცდა მქონდეს. ამაზე ნიშნის მოგებით არ ვსაუბრობ, პირიქით, ამას ძალიან გულდაწყვეტით ვამბობ. ჩემი გულისტკივილი იმასთანაც არის დაკავშირებული, რომ ათასობით კილომეტრის გავლა მიწევს სტრასბურის სასამართლომდე, რა თქმა უნდა, უფრო დიდი სიამოვნებით წავიდოდი თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ასევე, არც ერთი საქართველოს შორეული რაიონული სასამართლო არ შემაშინებდა, რომ მეგულებოდეს იქ ჭეშმარიტი სასამართლო და მოსამართლე, როგორც ეს ევროპული ქვეყნების სასამართლოებშია, როდესაც მოსამართლეები პიროვნულად ასხივებენ სამართლიანობას.

როდესაც ევროპის ნებისმიერი ქვეყნის სასამართლოში შეხვალთ, იქ კედლებიც კი ასხივებენ, რომ აქ სამართალს იპოვი.

***– შეიძლება ეს გადაწყვეტილება აიხსნას იმით, რომ მაღალკვალიფიციური კადრების სიმწირეა სისტემაში? თუ ეს პიროვნება დასაყრდენია სისტემის და ამიტომ გააკეთა ეს არჩევანი საბჭომ?***

– მე მგონი, ყველა ნეგატიური მიზეზი შეიძლება ერთდროულად იყოს. არ არსებობს პოლიტიკური ნება, არ არსებობს პოლიტიკური

დაკვეთა, რომ უკეთესი სასამართლო შეიქმნას. კარგი სასამართლო კარგი მოსამართლეების გარეშე არ არსებობს.

როდესაც სასამართლოს რეფორმა დაიწყო, მაშინ არ გვქონდა კარგი შენობები, კარგად გარემონტებული სასამართლო დარბაზები, არ იყო დარბაზებში აუდიო და ვიდეო ტექნიკა. ახლა ეს ყველაფერი არის, მაგრამ ამას არაფერს ფასი არ აქვს, როდესაც ამ დარბაზში ნამდვილი მოსამართლე არ არის.

ყველაზე საგანგაშო არის ის, რომ საბჭოში არიან ადამიანები, რომლებსაც არ ეშინიათ საზოგადოებრივი აზრის, არ ეშინიათ საზოგადოების ნების და ნიშნავენ ასეთ პიროვნებას ძალიან მაღალ პოზიციაზე. სულ ახლახან ჰქონდა ამ საბჭოს იდეა, რომ კრიტიკის აკრძალვა მოეხდინა. ეს ყველაფერი მიანიშნებს იმას, რომ მათ აქვთ პოლიტიკური ხელმძღვანელობისგან ზურგი და ამიტომ მიდიან ასეთ ნაბიჯებზე.

თუმცა, ეს აბსოლუტურად დროებითი მოვლენაა და დიდხანს ვერ გასტანს. თუ ასეთი ნაბიჯები შეგნებულად იდგმება, მაშინ დიდ ბოროტებასთან გვაქვს საქმე, თუ უვიცობით კეთდება, მაინც საშიში ვითარებაა.

ეს ის ადამიანია, რომელმაც, როგორც პროკურორმა, თქვა, რომ მას აქვს დუმილის უფლება. ეს იყო ისტორიული ამბავი. ბევრ იურისტს ეს უბრალოდ არ სჯეროდა, მაგრამ ერთმანეთს სასამართლოს ოქმს აჩვენებდნენ, სადაც ეს ჩაწერილი იყო.

***– ქალბატონო ლია, თქვენ ახსენეთ სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. სახელმწიფო კომისიამ უკვე შეარჩია ხუთი კანდიდატი – ლადო ჭანტურია, სოფიო ჯაფარიძე, შოთა გეწაძე, თამარ ალანია და ირაკლი დონდოლაძე. კომისიამ საუკეთესო არჩევანი გააკეთა?***

– უნდა დავეთანხმო ანა ნაცვლიშვილს, რომელიც ჩვენს კოალიციას წარმოადგენდა ამ კომისიაზე. უკეთესი კანდიდატები იყვნენ, მაგრამ მათ რატომღაც კომისიისგან მაღალი შეფასება ვერ დაიმსახურეს. წარმოდგენილი კანდიდატები საუკეთესობი არ იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ კომისიისგან მიიღეს მაღალი შეფასება სხვა კანდიდატებთან შედარებით.

სოციალურ ქსელებში ხუმრობენ, თუ კიდევ დაიწუნებს სტრასბურის სასამართლო, მერე ბელარუსის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს წარადგენენო. ასეთი მიდგომა ავლენს პოლიტიკური ნების არსს, დამოკიდებულებას. როგორც ჩანს, ამ ეტაპზე ამ ნებას ნაკლები კვალიფიკაციის იურისტი სჭირდება სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოში, რაც ძალიან სამწუხაროა.

# „ნატო განაგრძობს საქართველოს, როგორც განსაკუთრებული ასპირანტი ქვეყნის მხარდაჭერას“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილეს, როუზ გოტმიოლერს შეხვდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავრობის ადმინისტრაციიდან აცნობეს, მხარეებმა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის დღის წესრიგი განიხილეს. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოს მიერ არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის პროცესში მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესზე და კიდევ ერთხელ დადასტურდა ნატო-ს მზაობა, ხელი შეუწყოს საქართველოში რეფორმების განხორციელებასა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომ გაძლიერებას.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის მიერ საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის მხარდამჭერი დეკლარაციის მიღების მნიშვნელობას, რომლის თანახმად საქართველოს თანამშრომლობა ალიანსთან მოიცავს ყველა პრაქტიკულ ინსტრუმენტს, რაც მას საბოლოო წევრობისთვის მოამზადებს. გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, აღნიშნული დოკუმენტი ალიანსის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტის, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და ნატო-ში გაწევრიანების პროცესის მხარდაჭერის ძლიერი დემონსტრირებაა.

ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილის განცხადებით, ნატო აგრძელებს საქართველოს, როგორც განსაკუთრებული ასპირანტი ქვეყნის, მხარდაჭერას. მისივე თქმით, საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთო ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებაზე.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ვიქტორ დოლიძე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით დონდუა, ნატო-ში საქართველოს წარმომადგენელი ალექსანდრე მაისურაძე დაესწრნენ.

# ემანუელ მაკრონი: „მსოფლიოში მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარება რუსეთის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია“

საფრანგეთისა და რუსეთის პრეზიდენტების, ემანუელ მაკრონისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრა დასრულდა, რომელიც 2 საათსა და 45 წუთს გაგრძელდა. ამის შემდეგ მათ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

მაკრონის განცხადებით, მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარება მსოფლიოში რუსეთის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. მისი ინფორმაციითვე, პუტინთან დღევანდელ შეხვედრაზე უკრაინის თემაზე მინსკის შეთანხმებების შესრულებაზეც ისაუბრეს. მაკრონის თქმით, საჩქაროდ აუცილებელია მოლაპარაკებების ნორმანდიულ ფორმატში ჩატარება.

# ინაშვილი უკრაინულ მხარეს მოუწოდებს, მიხეილ სააკაშვილი საქართველოს გადმოსცეს

უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარესთან ანდრეი პარუბისთან შეხვედრაზე პარლამენტის ვიცესპიკერი ირმა ინაშვილი ყოფილი თანამდებობის პირების, მათ შორის, ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის საქართველოსთვის გადმოცემის საკითხს დააყენებს:

– პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილს ვგულისხმობ, რომელიც უკრაინის სახელმწიფოს შეფარებულია. სააკაშვილს საქართველოში ოთხი ბრალი აქვს წაყენებული. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სააკაშვილის გადმოცემის თაობაზე უკრაინის შესაბამის ორგანოებს რამდენჯერმე მიმართა. დიდი იმედი მაქვს, უკრაინა სააკაშვილს საქართველოს გადმოსცემს და მას ქართული მართლმსაჯულება გაასამართლებს, – განაცხადა ინაშვილმა.


ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru


რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ედიშერ ქარჩავა: „მეუფე პეტრეს პატრიარქის მოკვლა სურდა“

## მეუფე პეტრე ცაავა: „შორენას დაჯგუფება ყველაფერზეა წამსვლელი“

შორენა მარსაგიშვილი

დღეს, 30 მაისს, ციანიდის საქმის განხილვა გაგრძელდება. ერი და ბერი ახალი სკანდალების მოლოდინში გაისუსა. სკანდალი კი უფრო ადრე აგორდა. საპატრიარქოს იურისტის ედიშერ ქარჩავას განცხადებამ დეკანოზი გიორგი მამალაძე და ციანიდი დროებით ყველას დაავიწყა.

ედიშერ ქარჩავამ ჭყონდიდელ მიტროპოლიტს უმძიმესი ბრალდება წაუყენა. მისი თქმით, მიტროპოლიტი პატრიარქის მოკვდინებას ცდილობდა. საპატრიარქო იურისტს მტკიცებულებების წარდგენას სთხოვს. მეუფე პეტრე ბრალდებებს ბრალდებითვე პასუხობს და ხელს შორენა თეთრუაშვილისკენ იშვერს.

### ანტიპატრიარქისტები და შორენას დაჯგუფება

სკანდალური განცხადებებით ედიშერ ქარჩავა ადრეც გამოირჩეოდა. მაშინ, როცა მთელი პროკურატურა იმას ამტკიცებდა, ციანიდი შორენა თეთრუაშვილისთვის იყო განკუთვნილიო, ქარჩავამ განაცხადა, რომ კიდევ რამდენიმე პირის მკვლელობა იგეგმებოდა.

ციანიდის საქმის მორიგი სასამართლოს წინა დღეს კი ქარჩავა საპატრიარქოში არსებულ დაჯგუფებაზე ალაპარაკდა, რომლის წევრიც, მისი თქმით, დეკანოზი გიორგი მამალაძე და მეუფე პეტრე არიან.

საპატრიარქოს იურისტმა სატელევიზიო გამოსვლებით მეუფე პეტრეს საჯარო აღიარებისკენ მოუწოდა. ქარჩავას თქმით, ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა უნდა თქვას, რას გეგმავდა.

– მეუფე პეტრე მუდამ იძახის, რომ სიმართლისთვის მებრძოლია, მაგრამ ეს ასე არ იქნება, თუ არ გამოვა და არ იტყვის, რას და როგორ გეგმავდა. მან უნდა თქვას, რომ ჩართული იყო იდეურად, სულიერად და შესაძლო მხარდაჭერითაც კათოლიკოს- პატრიარქის ტახტიდან ჩამოცილების საკითხში. მე ვერ დავარღვევ უდანაშაულობის პრეზუმპციას, მაგრამ ის იყო ერთ-ერთი მხარდამჭერი იმ ჯგუფის, ვინც გეგმავდა კათოლიკოს-პატრიარქის მოშორებას ყველანაირი ხერხით, სწორედ ამ ჯგუფის ერთ-ერთი მხარდამჭერი იყო მეუფე პეტრე.

ვასახელებ მეუფე პეტრეს, რომ მას სურვილი ჰქონდა, რომ პატრიარქი მოეკლა. მეუფე პეტრე, სავარაუდოდ, აქტიურად იყო ჩართული პატრიარქის მოკვლის მცდელობაში. რაც შეეხება მის თანამზრახველებს, კონკრეტულ სახელებსა და გვარებს ვერ დავასახელებ, თუმცა ერთ-ერთი ახლა ციხეშია. საუბარია გიორგი მამალაძეზე, – განაცხადა ქარჩავამ საზოგადოებრივ მაუწყებელთან საუბარში.

ტვ პირველთან ინტერვიუში ქარჩავამ ამ დაჯგუფების კიდევ ერთი წევრი დაასახელა. მისი თქმით, პატრიარქის მოწინააღმდეგეთა ბანაკშია მისი ყოფილი დაცვის უფროსი სოსო ოხანაშვილი, რომელიც პატრიარქის ძმისშვილის, მეუფე პეტრეს, სიძეა.

რამდენიმე კვირის წინ დეკანოზ გიორგი მამალაძის ახლობლებმა განაცხადეს, რომ პროკურატურა მამაოს მეუფე პეტრეს, მეუფე დიმიტრის და სოსო ოხანაშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას სთხოვდა, რის სანაცვლოდაც მას საპროცესოს გაფორმებას სთავაზობდნენ.

პროკურატურას სამივე მათგანი დაკითხული ჰყავს. სოსო ოხანაშვილმა აპრილის ბოლოს დატოვა საქართველო. საგამოძიებო უწყების განმარტებით, მას ამის სრული უფლება ჰქონდა.

ედიშერ ქარჩავა ამბობს, რომ ქვეყნიდან წასული ოხანაშვილი გაჩუმებისკენ მოუწოდებს.

– ის დღეს გერმანიაშია და იქედან მითვლის, რომ გავჩუმდე. პირადად არ მიკავშირდება, ამდენი ჭკუა აქვს. სათქმელს დედაოების პირით მითვლის. ის არ მემუქრება, უბრალოდ მირჩევს, გავჩუმდე, – ამბობს იურისტი.

მის საპასუხოდ ქარჩავა ამბობს, რომ არ გაჩუმდება. ის პირობას დებს, რომ ყველას ამხელს, ვინც პატრიარქის წინააღმდეგ ილაშქრებდა. მათ იურისტი ანტიპატრიარქისტებს უწოდებს.

მან არ იცის, როდისთვის დაასრულებს ანტიპატრიარქისტების მხილების პროცესს. ერთერთი მათგანის საკითხის დაყენებას კი სინოდის სხდომაზე აპირებს. ქარჩავას თქმით, სინოდმა ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ეკლესიიდან უნდა გაუშვას.



– თუ არ დადგება ეს საკითხი, თვითონ მე დავაყენებ წმინდა სინოდზე მეუფე პეტრეს ეკლესიიდან გაშვების საკითხს. მეუფე პეტრეს, რა თქმა უნდა, ჰყავს თავისი მხარდამჭერები და კარგი იქნება, თუ სრული ლუსტრაცია მოხდება და გამოავლენს ყველა, ვინ ვის უჭერს მხარს.

აქ არის ორი მხარე: ერთი კათოლიკოს-პატრიარქი და დედა ეკლესია, მეორე მხრივ, მეუფე პეტრე და მისი მხარდამჭერები, რომლებიც ებრძვიან დედა ეკლესიას. ამიტომ ვინც პატრიარქის გვერდზე არ დადგება, ის იქნება ჩვენი არაკეთილმოსურნე და მათ მოუწევთ მართლმადიდებელი ეკლესიის რიგების დატოვება, – განაცხადა ტვ პირველთან საუბარში ედიშერ ქარჩავამ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეუფე პეტრეს განკვეთა ერთმა საერო პირმა, ნანა კაკაბაძემ, უკვე მოითხოვა.

ედიშერ ქარჩავას განცხადებების შემდეგ გავრცელდა მოსაზრება, რომ ჭყონდიდელი მიტროპოლიტის დასაკავებლად ფონი მზადდება.

ამ მძიმე ბრალდებებს მეუფე პეტრეც გამოეხმაურა. ის ქარჩავას განცხადებას ცილისწამებას, მაგრამ ამავდროულად ნეტარების გვირგვინს უწოდებს.

– ეს არის სერიოზული ცილისწამება, ეს არის ძალიან დიდი გვირგვინი ნეტარებისა და ღმერთმა ღირსეულად მატარებინოს ეს გვირგვინი და ეს ჯვარი, – აღნიშნა მოამბესთან საუბარში მიტროპოლიტმა.

ის კმაყოფილია იმით, რომ მან ქვეყანასა და ეკლესიაში არსებულ უსამართლობაზე თავისი პოზიცია დააფიქსირა.

– საპატრიარქოში და ქვეყანაში არსებული უსამართლობის წინააღმდეგ ავიმაღლე ხმა და მიმაჩნია, რომ ამით ჩემი ეროვნული, სახელმწიფოებრივი და მღვდელმთავრული ვალი მოვიხადე, – ამბობს მეუფე.

ედიშერ ქარჩავას მსგავსად, საპატრიარქოში არსებულ დაჯგუფებებზე ისიც საუბრობს, ოღონდ მეუფეს სხვა დაჯგუფება ჰყავს მხედველობაში. მისი თქმით, ამ დაჯგუფებას შორენა თეთრუაშვილი ხელმძღვანელობს. მას მეუფე პეტრე კიდევ ერთხელ მოიხსენიებს არაფორმალურ მმართველად.

ის ვარაუდობს, რომ ქარჩავას სიტყვების უკან სწორედ შორენა თეთრუაშვილი დგას.

– როდესაც მსგავსი ადამიანები ეკლესიის სახელით ცილისწამებასა და უპასუხისმგებლო ბრალდებებზე მიდიან, ეს იმას ნიშნავს, რომ მძიმე მდგომარეობაა და ნამდვილად არაფორმალური მმართველობაა. დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანი ახმაურებს საქართველოს ეკლესიის არაფორმალური მმართველი ქალბატონის სიტყვებს და მის დავალებებს ასრულებს.

იმ გარემოცვამ, რომელმაც 84 წლის კაცს მძიმე ოპერაციის წინ უთხრა, თითქოს მღვდელი მიდიოდა მის მოსაწამლად და შენი დაცვის უფროსი, შენი სიძე ასევე იყო ამ საქმეში ჩართულიო, ეს ადამიანები და ეს დაჯგუფება, რომელთა მეთაურიც არსებული ქალბატონია, ყველაფერზეა წამსვლელი, – აცხადებს მოამბესთან საუბარში მიტროპოლიტი.

ის დარწმუნებულია, რომ პატრიარქი არ იყო საქმის კურსში, თუ რა ბრალდებების გაჟღერებას აპირებდა ედიშერ ქარჩავა.

– კიდევ მინდა, იმ ვერსიას დავეთანხმო, რომ პატრიარქი ისევ დეზინფორმირებულია და ამას ამ კონტექსტით არავითარ შემთხვევაში არ მიაწვდიან. თუ, ღმერთმა დაიფაროს საქართველოს ეკლესია, და ამ ყველაფრის საქმის კურსშია პატრიარქი, მაშინ ძალიან მძიმე დღეში ყოფილა ჩვენი ეკლესია, – ამბობს მეუფე პეტრე.

საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების წარმომადგენელი, დეკანოზი კახაბერ გოგოტიშვილი ინტერპრესნიუსთან საუბარში ამბობს, რომ ედიშერ ქარჩავას, ისევე, როგორც საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, სრული უფლება აქვს, მიმართოს წმინდა სინოდს, თუკი მას მტკიცებულებები გააჩნია.

– ამის უფლება ნებისმიერ ადამიანს აქვს. ოღონდ ამისთვის საფუძვლიანი, არგუმენტირებული, დასაბუთებული მტკიცებულებები უნდა ჰქონდეს. ვიღაცამ მითხრა, სადღაც თქვეს და ყურში ჩამჩურჩულეს, არგუმენტად არ მიიღება, – განაცხადა დეკანოზმა კახაბერმა.

მამა კახაბერისთვის უცნობია, რა მტკიცებულებების საფუძველზე განაცხადა ქარჩავამ, რომ მეუფე პეტრეს პატრიარქის მოკვდინება სურდა.

– ერთია განცხადება და მეორეა მტკიცებულება, ბატონმა ედიშერმა საბუთი უნდა წარმოადგინოს, თორემ ასე ადამიანს შეუძლია ყველაფერზე ილაპარაკოს. თუ მას რაიმე დამამტკიცებელი საბუთები აქვს, პირველ რიგში, ეს სამართალდამცავ ორგანოებთან უნდა წარადგინოს – თუკი ადამიანმა დანაშაულის შესახებ იცის და არ გაამხელს, დაუშვებელია, დანაშაულია კანონმდებლობით.

მეორე, ეს მტკიცებულებები მან საპატრიარქოში უნდა წარმოადგინოს. რამდენად რეალურია, არარეალურია, ამას სამართალდამცველ ორგანოებში და საპატრიარქოში განიხილავენ. ასეთია პროცედურები. რას აპირებს ედიშერ ქარჩავა, ჩემთვის უცნობია, რადგან ამის შესახებ მასთან არ მისაუბრია. არ ვიცი, რის საფუძველზე გააკეთა ეს განცხადებები, – აღნიშნა ინტერპრესნიუსთან საუბარში მამა კახაბერმა.

* * *

დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატებმა საგანგებო პრესკონფერენციაზე საპატრიარქოს სათანადო რეაგირებისკენ მოუწოდეს.

ადვოკატ გიორგი ფანცულაიას საპატრიარქოსთან რამდენიმე კითხვაც აქვს და იმედი აქვს, რომ ამაზე აუცილებლად მიიღებს პასუხს.

– შორენა თეთრუაშვილი რომ თანამდებობაზე რჩება დღემდე, ეს არის დიდი კითხვის ნიშანი და ამას პასუხი უნდა გასცეს საპატრიარქომ. იმედია, მეუფეები დააყენებენ ამ საკითხს სინოდზე და არ ჩავარდებიან უხერხულ მდგომარეობაში, თუნდაც ისეთში, როგორიც 29 მაისს მოხდა.

ქარჩავა ამბობს, რომ ის დააყენებს საკითხს სინოდის წინაშე, რათა მეუფე პეტრეს ჩამოერთვას მღვდელმსახურება. ამის უფლებას აძლევენ მას მეუფეები?! იმედია, ისინი მოახდენენ რეაგირებას ამის თაობაზე. რატომ არ არიან ედიშერ ქარჩავას მიერ დასახელებული ადამიანები ბრალდებულები? პროკურატურამ დაიცვა და შეუნდო?! მისგან განსხვავებით, მე ვსაუბრობ მხოლოდ ფაქტებით. ამ განცხადებების მიზანი დეკანოზ გიორგი მამალაძის და ყველა იმ ადამიანის დისკრედიტაციაა, რომლებიც მამა გიორგის პოზიციას საჯაროდ იზიარებენ, - განაცხადა ფანცულაიამ.

### გადაწერილი სამაგისტრო

ციანიდის სკანდალმა სასულიერო აკადემიაც მოიცვა. სასწავლებლის მიმართ სკანდალური განცხადება სკანდალურმა ედიშერ ქარჩავამ გააკეთა.

მისი თქმით, თბილისის სასულიერო აკადემიაში მოკალათებულია ერთი ჯგუფი, რომელიც არ ცნობს პატრიარქს და არ აღიარებს, როგორც სულიერ მამას.

– ეს ჯგუფი ახდენს წარმატებული სტუდენტების გადაბირებას და განაწყობს ეკლესიის წინააღმდეგ, საუბარია გოჩა ბარნოვზე და თემურ ბუაძეზე. ადრე მათთან პატრიარქთან დაკავშირებით დაპირისპირებული ვიყავი, – განაცხადა ედიშერ ქარჩავამ.

ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს სასულიერო აკადემიის პრორექტორი, დეკანოზი ბესარიონ ცინცაძე.

დეკანოზი ვერ აკონკრეტებს, თუ რატომ გააკეთა ასეთი განცხადება საპატრიარქოს იურისტმა. მისი ბრალდების საპასუხოდ, საზოგადოებრივ მაუწყებელთან საუბარში დეკანოზი ბესარიონი ასეთ რამეს ამბობს:



– სასულიერო აკადემიაში არ არსებობს არანაირი ჯგუფი, რომელიც პატრიარქს ეწინააღმდეგება. სასულიერო აკადემია მხოლოდ ახალგაზრდების აღზრდით და კარგი განათლების მიცემით არის დაკავებული.

იურისტის ბრალდებებს გოჩა ბარნოვი და თემურ ბუაძეც გამოეხმაურნენ. სასულიერო აკადემიის პროფესორები მათი მისამართით გაჟღერებულ ბრალდებას აბსურდულს უწოდებენ.

პროფესორები ვარაუდობენ, რომ ქარჩავამ მათ წინააღმდეგ შავი პიარი პირადი წყენიდან გამომდინარე ააგორა.

როგორც ბარნოვი საზმაუსთან საუბარში

გაგრძელება მე-4 გვერდზე

2017, 30 მაისი, №126

# დღეს თბილისში შესაძლოა გაზის სუნი დადგეს

30 მაისს დილის 11:00 საათიდან თბილისში შესაძლოა გაზის სპეციფიკური სუნი დაფიქსირდეს. ამის შესახებ „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ განცხადებას ავრცელებს.

– გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ აგრძელებს გაზგამანაწილებელი სადგურების მოდერნიზაციის სამუშაოებს. ამ ეტაპზე ავტომატური ოდორიზაციის კვანძები გაჩიანისა და გლდანის გაზგამანაწილებელ სადგურებში დამონტაჟდა, რომლებიც მიმდინარე წლის 30 მაისს დილის 11:00 საათიდან ტესტირების რეჟიმში ჩაირთვება.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, შესაძლოა, დღის განმავლობაში დაფიქსირდეს ოდორანტის მცირე სუნი. აღსანიშნავია, რომ ოდორანტი ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს და ის გამოიყენება ბუნებრივი გაზისთვის სპეციფიკური სუნის მისაცემად, რათა გაჟონვის შემთხვევაში დროულად აღმოიფხვრას ტექნიკური ხარვეზი.

აქვე დავძენთ, რომ ავტომატური ოდორიზაციის კვანძის ექსპლუატაციაში შესვლა ხელს შეუწყობს ოდორანტის ნორმირებულ ხარჯვას, რაც გამორიცხავს ბუნებრივი გაზის ჭარბი დოზით ოდორიზებას. ამ დრომდე ბუნებრივი გაზის ოდორიზაციის პროცესი მექანიკურად, პასუხისმგებელი ოპერატორის მიერ ხორციელდებოდა.

უახლოეს მომავალში შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მიერ ოდორიზაციის ავტომატიზირებული სისტემით საქართველოს ყველა საკვანძო გაზგამანაწილებელი სადგური აღიჭურვება, – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

# ალექსანდრე ჯეჯელავა: „ნაციონალებს გონება გაუნათდათ“

– როგორც ჩანს, ნაციონალურ მოძრაობას გაუნათდა გონება, ყველა ეს კომპონენტი მათი შემოღებულია, ახლა მიხვდნენ, რომ ვერ გააკეთეს მთლად კარგად რაღაცები, – ამის შესახებ განათლების მინისტრმა, ალექსანდრე ჯეჯელავამ ნაციონალური მოძრაობის მიერ საატესტატო გამოცდების გაუქმების მოთხოვნასთან დაკავშირებით განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ის გაუქმების მომხრე არაა და საატესტატო გამოცდები უნდა დაიხვეწოს.

– გაუქმებით მგონი არ უნდა გავაუქმოთ, უნდა დავხვეწოთ და განვავითაროთ, ეს არის ჩვენი ამოცანა. წლევანდელი რაოდენობა სკოლის საატესტატო გამოცდებზე ჩაჭრილი მოსწავლეების, პროცენტულად არ განსხვავდება შარშანდელისგან, თუმცა ეს დიდად სანუგეშო არაა. მეორე მხრივ, ჩვენთან არის არაჯანსაღად მაღალი რაოდენობა მოსწავლეების, რომლებიც ცდილობენ, რომ 12 კლასის ატესტატი აიღონ და უმაღლეს სასწავლებელში ისწავლონ.

გერმანიაში თუ ეს რაოდენობა არის 40%, ჩვენთან არის 80%. შესაბამისად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში პროფესიული განვითარების პოპულარიზაცია ნელ-ნელა შეამცირებს 12 კლასის ატესტატის აუცილებლობას. შესაბამისად, მხოლოდ ის ბავშვები გავლენ ამ გამოცდებზე, რომლებსაც აქვთ მაღალი აკადემიური მოსწრება, – განაცხადა ჯეჯელავამ.

სასკოლო გამოცდებზე მოსწავლეების დიდი რაოდენობით ჩაჭრის გამო, ნაციონალური მოძრაობა მოითხოვს, გამოსაშვები გამოცდების არსებული ფორმატი გაუქმდეს.

# უკრაინა უკრაინა-საქართველო-მოლდოვას საპარლამენტო ასამბლეის ფორმატის შექმნის ინიციატივით გამოდის

უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარე ანდრეი პარუბი უკრაინა-საქართველო-მოლდოვას საპარლამენტო ასამბლეის ფორმატის შექმნის ინიციატივით გამოდის.

აღნიშნულის შესახებ ანდრეი პარუბიმ ქართველ კოლეგა ირაკლი კობახიძესთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა და როგორც განმარტა, უკრაინას თანამშრომლობის ასეთი ფორმატი აქვს ლიტვასთან და პოლონეთთან.

უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარის აზრით, უკრაინა-საქართველო-მოლდოვას საპარლამენტო ასამბლეის ფორმატის ჩამოყალიბებით შეიქმნება მოედანი, რომელიც ამ ქვეყნებს აერთიანებს და მათ უფრო მობილურს გახდის. მისივე თქმით, ეს ხელს შეუწყობს თანამშრომლობის გაღრმავებას სხვადასხვა მიმართულებით.

– მე საქართველოში 2008 წელს, რუსეთის აგრესიის შემდეგ ვიყავი. ვიგრძენი, როგორი ახლო ხალხი ვართ. ემოციურად როგორ ერთნაირი რეაქცია გვაქვს იმ გამოწვევებზე, რომელიც ჩვენ წინაშე დგას.

ჩემთვის სასიამოვნოა, მივულოცო ქართველ ერს დამოუკიდებლობის დღე. ჩვენ გვესმის, რამხელა ფასი გადაიხადეთ და ვაცნობიერებთ, რამდენად მნიშვნელოვანია ეს დღესასწაული თქვენთვის. ჩვენთვის აუცილებელია მოხდეს ქვეყნებს შორის ურთიერთობების გააქტიურება და ვიპოვოთ თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატები, – აღნიშნა ანდრეი პარუბიმ.

# არჩილ თალაკვაძე: „ნატო-ში შეიძლება მაპ-ის გარეშეც გავწევრიანდეთ“

– სავარაუდოდ, განიხილება საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების ისეთი გზაც, რომლისთვისაც მაპი არ იქნება აუცილებელი, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, არჩილ თალაკვაძემ ჟურნალისტებს ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიაზე საქართველოს მხარდამჭერი დეკლარაციის მიღების შემდეგ განუცხადა.

როგორც თალაკვაძემ აღნიშნა, იყო მსჯელობა ნატო-ში გაწევრიანების კუთხით საქართველოს ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, მათ შორის მაპ-ის საკითხზე.

– რა თქმა უნდა, მაპი არის ინსტრუმენტი გაწევრიანებისთვის. ეს არის აღიარებული ინსტრუმენტი, თუმცა საპარლამენტო ასამბლეაზე არაერთმა ავტორიტეტულმა გამომსვლელმა გააჟღერა თავისი პოზიცია, რომ საქართველოს განვითარების, მისი მზაობის გათვალისწინებით, ნატო-ში გაწევრიანებისთვის შესაძლოა მაპი იყოს ნატო-ში გაწევრიანების დროში გადადება. ამიტომ, ბუნებრივია, პოლიტიკურ წრეებში, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის შიგნით, სავარაუდოდ, განიხილება საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების ისეთი გზაც, რომლისთვისაც მაპი არ იქნება აუცილებელი, – აღნიშნა თალაკვაძემ.

# ეკა გიგაური: „ცერცვაძის წასვლა საერთო გეგმის ნაწილია“

სააპელაციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის, ვალერი ცერცვაძის თანამდებობიდან გადადგომას არასამთავრობო სექტორი „გეგმის ნაწილად“ მიიჩნევს:

– ცერცვაძის წასვლა სისტემიდან არის საერთო გეგმის ნაწილი. არავის არ სჯერა, რომ იგი ფიქრობდა სასამართლოს რეპუტაციაზე იმიტომ, რომ ამდენი წელია მუშაობს სასამართლოში და უფრო დიდი პრობლემების წინაშე მდგარა სასამართლო და, შესაბამისად, მაშინაც უნდა გადაეწყვიტა ეს ნაბიჯი, – აცხადებს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ თავმჯდომარე ეკა გიგაური.

# ედიშერ ქარჩავა: „მეუფე პეტრეს პატრიარქის მოკვლა სურდა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

განმარტავს, 2014 წელს ქარჩავას მისი ხელმძღვანელობით უნდა დაეცვა მაგისტრის ხარისხი, თუმცა გაირკვა, რომ ედიშერ ქარჩავამ სამაგისტრო ნაშრომი თემურ ბუაძისგან გადაიწერა, რის შემდეგაც გოჩა ბარნოვმა უარი უთხრა მასთან სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე.

ქარჩავას განცხადებით, ბუაძეს და ბარნოვს მეუფე პეტრესთან და მღვდელმონაზონ ანდრიასთან აქვთ კავშირი. იურისტი მღვდელმონაზონ ანდრიასაც მეუფის დაჯგუფების წევრად თვლის.

აკადემიის პროფესორები ამტკიცებენ, რომ მათ არანაირი კავშირი არ აქვთ ქარჩავას მიერ დასახელებულ პირებთან.

## პატრიარქის მინდობილობა

ედიშერ ქარჩავა ცილისწამებაში დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატებმა კიდევ ერთხელ დაადანაშაულეს.

დაახლოებით 10 დღის წინ იურისტმა განაცხადა, რომ მამა გიორგი მამალაძე 50 მილიონი

ევროს გათეთრებას აპირებდა.

– როცა მე გამოვედი და 50 მილიონი ევროს გადარიცხვაზე ვთქვი, დამაყარეს. მერე დაადასტურეს. აღმოჩნდა, რომ თურმე მართლა ყოფილა. უარესიც ვიცი, რა სკანდალურ გარიგებაში იყო ჩართული, ვის რა წილი უნდა მიეღო და რა ბინძურ საქმეებში და გარიგებებში იყო ჩართული მამა გიორგი მამალაძე, – აღნიშნა ქარჩავამ.

მისი ძველი და ახალი ბრალდებების საპასუხოდ დეკანოზის ადვოკატებმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს.

მიხეილ რამიშვილის და გიორგი ფანცულაიას მტკიცებით, გრანტების მოძიებაზე ხელშეკრულება მამა გიორგიმ პატრიარქის მიერ გაცემული მინდობილობით გააფორმა.

ადვოკატებმა აღნიშნული მინდობილობაც წარმოადგინეს.

მიხეილ რამიშვილის განმარტებით, პირადად პატრიარქის მიერ გაცემული მინდობილობით, დეკანოზს შეეძლო ყველა იმ საკითხზე შესაბამისი სამართლებრივი ქმედებების განხორციელება, რაც საპატრიარქოს კლინიკის რეაბილიტაციასთან იყო დაკავშირებული..

– ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციით მტკიცდება, რომ უწმინდესი ყველაფრის საქმის კურსში იყო. პატრიარქის მიერ გაცემული მინდობილობით გაფორმდა ხელშეკრულება გრანტების მოძიებაზე, რაც დაფიქსირებულია ნოტარიუსის მიერ დამოწმებულ დოკუმენტში. ეს ფიქსირდება იმ ხელშეკრულებაში, რომელიც გაფორმდა 10 მილიონზე. თუმცა, ეს თანხა არ გადმორიცხულა, – აღნიშნა ადვოკატმა.

მან ის პიროვნებაც დაასახელა, ვისთანაც თანამშრომლობის რეფერენდუმია გაფორმებული.

– გაფორმებულია ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი უკრაინის მოქალაქე სერგეი ჯანგოვთან, სადაც მითითებულია, რომ თანამშრომლობის მიზანი იყო კლინიკის საკუთრებაში არსებული სამედიცინო ცენტრის სრული რეკონსტრუქცია, ინვენტარით და დანადგარებით აღჭურვა.

როცა ბატონი ედიშერ ქარჩავა ბრძანებს, თითქოს სერგეი ჯანგოვთან ჰქონდა საერთო ინტერესები მამა გიორგი მამალაძეს და უნდა მომხდარიყო ფულის გათეთრება, ეს არის სიცრუე. სერგეი ჯანგოვს არაერთხელ ჰქონია ურთიერთობა ლტოლვილთა და განსახლების ყოფილ მინისტრ დავით დარახველიძესთან, სოციალურ საკითხებზე და ამ შემთხვევაში სერგეი ჯანგოვი იყო შუამავალი დონორებთან, – განაცხადა მიხეილ რამიშვილმა.

მისივე განცხადებით, ქარჩავა დეკანოზის მიმართ შეგნებულად ავრცელებს ცრუ ბრალდებებს.

* * *

ციანიდის საქმე დღეს, 30 მაისს, განახლდება. პროკურატურა, სავარაუდოდ, ისევ მოითხოვს სხდომის დახურვას.

სასამართლოს წინა სხდომაზე პროკურატურის მოთხოვნა მოსამართლე ბუგიანაშვილმა დააკმაყოფილა, რასაც მამა გიორგის მხრიდან პროტესტი მოჰყვა. მან სხდომა დატოვა და ადვოკატებსაც იგივეს გაკეთება სთხოვა. სხდომა ადვოკატებმაც დატოვეს. ამის გამო მოსამართლემ ისინი გაძევებულებად გამოაცხადა, დეკანოზს კი სახაზინო ადვოკატი დაუნიშნა.

ბუგიანაშვილის ეს გადაწყვეტილება დაცვის მხარემ სააპელაციოში გაასაჩივრა. სააპელაციომ დეკანოზს ადვოკატები დაუბრუნა. დაბრუნებული ადვოკატები აცხადებენ, რომ პროკურატურას წინ ბევრი სიურპრიზი ელოდება.

# სამიტის შედეგი: „ტრამპს მეხუთე მუხლი და უკრაინის პრობლემა არც კი უხსენებია“

## დასავლელი მიმომხილველები: „ეს განხეთქილება ხელს აძლევს რუსეთს“

მარიამ მჭედლიშვილი

ნატოსა და დიდი შვიდეულის სამიტების დასრულების შემდეგ გამოაშკარავდა, რომ აშშ-ისა და ევროკავშირის მომავალი მჭიდრო თანამშრომლობა გამორიცხულია, ნატოს ევროპელ წევრებს კი ამერიკის თანადგომის იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

ევროპაშიც და ამერიკაშიც დონალდ ტრამპს მწვავედ აკრიტიკებენ. სამიტებზე ევროპაში მას არ უხსენებია, რომ მხარს უჭერს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კოლექტიურ გარანტიებს. ეს გარანტიები ნატოს წევრებისთვის ერთმანეთის დაცვას გულისხმობს.

ბევრს იმედი ჰქონდა, რომ ტრამპი ისაუბრებდა ატლანტიკური პაქტის მეხუთე მუხლზე, მაგრამ ეს არ მოხდა. კომენტატორების შეფასებით, მან გალანძღა მოკავშირეები ნატოში და ისევ შეეხო 2%-იანი დაფინანსების ვალდებულებას.

ნორვეგიული მედიის აზრით, ტრამპის მოქმედებები გამოიწვევს ევროპის დისტანცირებას ამერიკისგან. ყველაფერი, რაც იწვევს განხეთქილებას აშშ-სა და მის მოკავშირეებს შორის, ახარებს პუტინს.

– ეს პუტინის გამარჯვებაა, – ასე აფასებენ ორი სამიტის შედეგებს სხვა მიმომხილველები. მათი თქმით, შეიქმნა ახალი რეალობა, რომელიც გამორიცხავს ახლო თანამშრომლობას ევროკავშირსა და აშშ-ს შორის.

დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ არ დაუჭირა მხარი სანქციების გამკაცრებას რუსეთის წინააღმდეგ. ამას მოითხოვდნენ დიდი შვიდეულის სხვა სახელმწიფოები. ამერიკა და ევროპა ვერ შეთანხმდნენ კიდევ რამდენიმე საკითხზე. ტრამპის მოთხოვნაზე სამხედრო სფეროს დაფინანსების გაზრდის შესახებ ნატოს ევროპელ წევრებს უარი არ უთქვამთ, თუმცა, არავინ იცის, შეასრულებენ თუ არა ისინი ამ ვალდებულებას.

ტრამპს სამიტებზე არ უხსენებია უკრაინის პრობლემა. პრობლემებად მან აღიარა ტერორიზმი, ირანი და ევროპასთან უსამართლო ვაჭრობა.

ამ სიტუაციაში გერმანიის კანცლერი და ევროკავშირის ფაქტობრივი ლიდერი ანგელა მერკელი აცხადებს, რომ ევროპელებმა თავისი ბედის გადაწყვეტა თავის თავზე უნდა აიღონ და მხოლოდ საკუთარ ძალებს დაეყრდნონ.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა იმის შესახებ, რომ ევროკავშირში განიხილება საკუთარი თავდაცვის სისტემის შექმნის თემა. გერმანიისა და თავდაცვის მინისტრები შეთანხმდნენ, რომ ამისთვის თავდაცვის სააგენტოში შეიქმნება სპეციალური ფონდი.

დიდი შვიდეულისა და ნატოს სამიტებს რუსეთისთვის სასარგებლოდ აფასებენ რუსეთის ექსპერტები.

მათი აზრით, ამ დღეებში ანგელა მერკელმა ხელი მოაწერა კაპიტულაციას. გერმანია კი, ასწლიან პერიოდში, მესამედ აღმოჩნდა „გადაგდებული“ რუსეთთან დაპირისპირების გამო. ანგლოსაქსებმა გერმანია მიატოვეს. გერმანიას არ გამოუვიდა რუსეთის კიდევ ერთხელ ამოშლა ისტორიიდან. ამ სახელმწიფოს ხელში შერჩა ევროკავშირის ფინანსური, პოლიტიკური და სტრუქტურული პრობლემების თაიგული.

კრემლთან დაახლოებული ექსპერტები კავკასიასაც ახსენებენ. მათი მტკიცებით, შექმნილ ვითარებაში რუსეთი იბრუნებს გავლენის ზონას ევროპაში. ის მოიცავს უკრაინის, მოლდავეთისა და კავკასიის დიდ ტერიტორიას.

ევროპელი ანალიტიკოსების აზრით, ამ რთულ მდგომარეობაში ევროპას მარტო მოუწევს რისკების დაძლევა. რუსეთიდან მომავალი საფრთხე ძლიერდება. ბულგარელი ექსპერტების გათვლით, სიტუაცია, პირველ რიგში, დაიძაბება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. მის ერთ ქვეყანას – მონტენეგროს ნატოში იღებენ. 5 ივნისს მთავრდება ამ სახელმწიფოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის პროცედურა.

რუსეთს ედავებიან იმას, რომ მონტენეგროში გარკვეული ხნის წინ გადატრიალებას აწყობდა. მონტენეგროს საგარეო საქმეთა მინისტრმა ამის შესახებ ამ დღეებშიც განაცხადა. მისი თქმით, რუსეთის მიზანი იყო, ხელი შეეშალა ქვეყნის ნატოში შესვლისთვის.

## სოფელი ვარდისუბანი სეტყვამ მნიშვნელოვნად დააზარალა

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ვარდისუბანი სეტყვამ მნიშვნელოვნად დააზარალა. როგორც სოფლის წარმომადგენელი აცხადებს, დაზიანებულია სახლები და საკარმიდამო ნაკვეთები. ამოწმებენ ინფორმაციას, დაზიანდა თუ არა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ალექსანდრე შათირიშვილის თქმით, სეტყვამ ასევე დააზიანა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი შალაური, სადაც ძირითადად ასევე საკარმიდამო ნაკვეთებია დაზიანებული. შათირიშვილის ინფორმაციით, სეტყვა სოფელში დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა. ვარდისუბანსა და შალაურში საკმაოდ ძლიერი სეტყვა მოვიდა.

## გურჯაანში მგლების მიერ ცხოველის დაგლეჯის მორიგი ფაქტი დაფიქსირდა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურში მგლების მიერ ცხოველის დაგლეჯის მორიგი ფაქტი დაფიქსირდა.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ადგილიდან იუწყება, ამჯერად მგლებმა ვირი დაგლიჯეს.

ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, რამდენიმე დღის წინ მტაცებლის მიერ ცხვრების დაგლეჯის შემთხვევები დაფიქსირდა. ისინი მონადირეთა ჯგუფების შექმნას და ხელისუფლებისგან მგლების დახოცვის უფლებას ითხოვენ.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტში აცხადებენ, რომ ამ დროისთვის აღნიშნულ თემაზე მუშაობა მიმდინარეობს და ისინი აპირებენ მიმართონ ცენტრალურ ხელისუფლებას, რომ შეიქმნას ჯგუფი, რომელსაც მგლების დახოცვის უფლება ექნება.

## სეტყვამ სიღნაღის სამ სოფელში მოსავლის 90% გაანადგურა

ძლიერი სეტყვა იყო კახეთში. სტიქიამ სიღნაღის რაიონის სამ სოფელში – ჯუგაანში, ბოდბისხევსა და ტიბაანში მოსავლის უმეტესობა გაანადგურა. დასეტყვილია სასოფლო სამეურნეო სავარგულები, ხეხილის ბაღები, ბოსტნეული და ვენახები.

სტიქიის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა სოფელ ჯუგაანის ელექტროქვესადგური, რის გამოც სამ სოფელს ელექტროენერგია ამ დრომდე არ მიეწოდება.

მოსახლეობა აცხადებს, რომ მოსავალი თითქმის სრულად განადგურდა, თითქმის 90%-ით.

სახელმწიფო ელექტროსისტემის კახეთის რეგიონალური ქსელის მთავარი ინჟინერი აცხადებს, რომ მკვებავ ხაზს მეხი დაეცა, რის გამოც ელექტროენერგიის მიწოდება შეფერხდა.

ზარალის ოდენობა მოგვიანებით დადგინდება.

## სუს-ის ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს ახალწვეულებმა სამხედრო ფიცი დადეს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს ახალწვეულებმა სამხედრო ფიცი დადეს. ღონისძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი ბონდო ოჩიგავა და მთავარი სამმართველოს სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

სუს-ის ობიექტების დაცვის მთავარ სამმართველოში ახალწვეულები ერთწლიან სავალდებულო სამხედრო სამსახურს გაივლიან. შესაბამისი წვრთნების შედეგად, ისინი სამხედრო საქმიანობას შეისწავლიან და პროფესიულ უნარჩვევებს შეიძენენ.

სამხედრო ფიცის დადების შემდეგ, ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს წარჩინებულ სამხედრო მოსამსახურეებს მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის მადლობის სიგელები გადაეცათ.

ღონისძიებას ახალწვეულების ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

## „არ დაგიმალავთ, მქონდა საუბარი ფრანგულ მხარესთან, რომ „სოსიეტე ჟენერალი“ არ გასულიყო საქართველოდან“

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის შეფასებით, „სოსიეტე ჟენერალის“ საქართველოს საბანკო ბაზრიდან გასვლა სასიხარულო არ არის. ამის შესახებ კობა გვენეტაძემ პარლამენტში „სოსიეტე ჟენერალის“ საქართველოდან გასვლასთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა, მაგრამ დასძინა, რომ ეს გადაწყვეტილება თავად „სოსიეტემ“ მიიღო.

– მოგეხსენებათ, „სოსიეტე ჟენერალმა“ 2008-2009 წლების კრიზისის შემდეგ საკმაოდ დიდი დანაკარგები განიცადა და იმ სტრატეგიის მიხედვით, რომელიც ამ ბანკმა დასახა, ამჯობინეს, რომ რეგიონებში, სადაც შედარებით პატარა ბანკები ჰქონდათ, უმჯობესი იყო ოპერაციები გაეუქმებინათ, რესურსები შეეერთებინათ და სინერგიის საფუძველზე უკვე სხვა ბაზრებზე შესულიყვნენ. არ დაგიმალავთ, თავად მქონდა საუბარი როგორც საფრანგეთის ელჩთან, ისე ბანკის წარმომადგენლებთან სათავო ოფისის დონეზე, რომ „სოსიეტე ჟენერალი“ არ გასულიყო საქართველოდან. მე აბსოლუტურად კარგად მესმის „სოსიეტე ჟენერალის“ ბრენდის მნიშვნელობა, თუმცა, სამწუხაროდ, ეს იყო ბანკი, რომელმაც სტრატეგიულ დონეზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ გასულიყო საქართველოდან და ეს ნამდვილად არ იყო სასიხარულო, – განაცხადა კობა გვენეტაძემ.

ცნობისთვის: გასული წლის შემოდგომაზე „თიბისი ბანკმა“ „ბანკი რესპუბლიკა“ შეიძინა. ორი ბანკის ტექნიკური მიგრაცია 8 მაისს დასრულდა.

## დევნილთა შემწეობები გაიზრდება

პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მხარი დაუჭირა „ევროპული საქართველოს“ იმ საკანონმდებლო ინიციატივებს, რომლის მიხედვით დევნილის შემწეობა 45-დან 60 ლარამდე გაიზრდება, – ამის შესახებ ინფორმაციას სოციალურ ქსელში ზურაბ ჭიაბერაშვილი ავრცელებს.

ამასთან, ინიციატივა ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

– „საარსებო შემწეობის მიღება აღარ გამოიწვევს დევნილის შემწეობის მიღების შეჩერებას;

– დევნილი ოჯახის ბინით უზრუნველყოფა აღარ გამოიწვევს დევნილის შემწეობის გაუქმებას, რადგან ბინით უზრუნველყოფა არ ცვლის მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;

– ყოველთვიური შემოსავლის ზღვარი, რომლის მიღების შემთხვევაში დევნილს ეხსნება შემწეობა, აიწევს 1250-დან 1500 ლარამდე;

– დევნილის სტატუსი პროაქტიულად მიენიჭება იძულებით გადაადგილებულ პირებსა და მათ არაოკუპირებულ ტერიტორიებზე დაბადებულ შთამომავლობებს.

2 კვირის წინ ეს ინიციატივები ჯანდაცვისა და საფინანსო კომიტეტებმა დაიწუნეს, – წერს ჭიაბერაშვილი.

2017, 30 მაისი, №126

# სერგო ჩიხლაძე: „თამბაქოს შეზღუდვას ყოველთვის კარგი შედეგი მოაქვს“

## „2030 წლისთვის თამბაქოთი გამოწვეული სიკვდილიანობა წელიწადში 8 მილიონს მიაღწევს“

გიორგი საკარული

თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონპროექტი პარლამენტმა დაამტკიცა. კანონპროექტმა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება წარმოშვა საზოგადოებაში და დაპირისპირების საგანიც კი გახდა მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. რამდენად ეფექტურია აღნიშნული კანონი, გამართლებული და დროული, ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას“ ესაუბრა მედიცინის დოქტორი, ჯანდაცვის პოლიტიკისა და მართვის სპეციალისტი სერგო ჩიხლაძე.

**სერგო ჩიხლაძე:**

– მივესალმები კანონპროექტის ინიცირებას და ვფიქრობ, რომ ნამდვილად დროული და სასარგებლო ინიციატივაა. მეტსაც ვიტყვი, ჯერ კიდევ წლების წინ უნდა მიგვეღო მსგავსი კანონი.

მე, როგორც ჯანდაცვის სპეციალისტი, ყურადღებას გავამახვილებ ამ კანონის ეფექტურობაზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის კუთხით. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, 2030 წლისთვის თამბაქოთი გამოწვეული სიკვდილიანობა მიაღწევს 8 მილიონს წელიწადში. აქედან 4/5 მოდის დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებზე, რომლებშიც საქართველოც შედის.

თამბაქო არის ძირითადი რისკფაქტორი ისეთი არაგადამდები დაავადებების განვითარებისა, როგორებიცაა სიმსივნე, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი და სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებები.

აღნიშნული კანონი დაიცავს და შეამცირებს მოწევისგან გამოწვეულ რისკებს როგორც მწეველებში, ასევე მათ გარშემომყოფებში.

***– თუ არსებობს მეცნიერული მტკიცებულება, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედებს თამბაქოზე მსგავსი შეზღუდვები, ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა?***

– კვლევები ადასტურებს, რომ თამბაქოს საწინააღმდეგო კანონების შემოღება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ჯანმრთელობის მდგომარეობას, ზოგადად მოსახლეობაში და განსაკუთრებით, იმ ადამიანების, რომლებიც მუშაობენ დაწესებულებებში, რომელთაც შეზღუდვა ეხებათ: ბარები, რესტორნები, სასტუმროები და მომსახურების სფეროს სხვა დახურული სივრცის მქონე დაწესებულებები.

დადებითი შედეგები დგება საკმაოდ მოკლე პერიოდში, მას შემდეგ, რაც მოწევაზე აკრძალვის რეგულაციები წესდება.

ასე, მაგალითად, შოტლანდია იყო პირველი რეგიონი გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში, სადაც 2006-ში მოხდა საზოგადოებრივ ადგილებში, ბარებში, რესტორნებში, სამუშაო ადგილებზე და ა.შ. თამბაქოს მოხმარებაზე აკრძალვის დაწესება. კვლევამ, რომელიც ტარდებოდა ამ ადგილებში მომუშავე არამწეველ პერსონალში, აჩვენა, რომ კვლევის მონაწილეებში მოხდა ისეთი სიმპტომების როგორიცაა ხველა, თვალების სიწითლე და წვა, გაძნელებული სუნთქვა მნიშვნელოვანი შემცირება.

იგივე შოტლანდიაში უკვე წლების შემდეგ, 2010 წელს, ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ 15 წლამდე ასაკის ბავშვებში 18%-ით შემცირება ასთმის შემთხვევები. ანუ, უკვე შედეგი დადგა ზოგადი მოსახლეობისთვის.

ნიუ იორკში მსგავს ადგილებში თამბაქოს აკრძალვა მოქმედებს 2004 წლიდან და უკვე 2007 წლის კვლევები აჩვენებს, რომ შემცირდა მიოკარდიუმის ინფარქტით ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი 8%-ით. მოხდა კონკრეტულად ამ დაავადებაზე ჰოსპიტალური ხარჯების დაზოგვა და მაშინდელი ფასებით ყოველწლიურად 56 მილიონი დოლარის ეკონომია ერთ კონკრეტულ შტატში.

აშშ-ში უკვე 2012 წლის კვლევა, რომელიც მოიცავდა იმ 387 საგრაფოს, სადაც მოწევაზე აკრძალვები იყო დაწესებული, აჩვენებს, რომ 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში (მედიქეარის ბენეფიციარები) 20%-მდე შემცირებულია მიოკარდიუმის ინფარქტით ჰოსპიტალში მიმართვიანობა და 11%-ით შემცირდა ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებებით მიმართვა.

***– კანონპროექტის ოპონენტებს ხშირად არგუმენტად მოჰყავთ, რომ თამბაქოს მოხმარების შეზღუდვა მნიშვნელოვან დარტყმას მიაყენებს ამ ინდუსტრიას და მასში დასაქმებულ ადამიანებს.***

– როცა ვიღაცის მოგებასა და ინდუსტრიის ბედზე საუბრობენ, არ დაივიწყონ ის დანახარჯები და ზარალი, რასაც თამბაქოს მოხმარებას და მასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაზე იხარჯება.

მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში ყოველწლიურად 25 მილიარდი ევრო იხარჯება მხოლოდ მოწევით გამოწვეული დაავადებების მკურნალობაზე, რაც ჯანდაცვის დანახარჯების 3%-ს შეადგენდა ევროპაში 2010 წლისთვის. სულ, თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული ზიანი შეადგენს 544 მილიარდ ევროს ყოველწლიურად. იგივე ითქმის აშშ-ზეც. თამბაქოს მოხმარებისგან მიყენებული ზიანი შეადგენს დაახლოებით 300 მილიარდ დოლარს ყოველწლიურად, საიდანაც 170 მილიარდი მოდის თამბაქოთი გამოწვეული დაავადებების მკურნალობაზე და 150 მილიარდზე მეტი – შრომითი პროდუქტიულობის დაქვეითებაზე და ნაადრევი სიკვდილიანობით გამოწვეულ მიზეზებზე.

***– საუბარია ასევე ფასის მომატებაზე, რეკლამირებისა და გაყიდვის შეზღუდვაზე. ეს რამდენად საჭირო ზომებია?***

– არსებობს მრავალი მასალა, კვლევა, ძირითადად მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში, რომელიც ადასტურებს, რომ თამბაქოს მოხმარების ადგილების შეზღუდვასთან ერთად ეფექტურია სკოლებში პრევენციული ინტერვენცია, ფასის გაზრდა თამბაქოზე, თამბაქოს პროდუქტების რეკლამაზე შეზღუდვების დაწესება, მედიაკამპანია თამბაქოს მოხმარების მავნებლობასა და არასრულწლოვნებზე თამბაქოს მიყიდვის მკაცრი რეგულაციები.

იმ ქვეყნებში, სადაც მსგავსი კომპლექსური მიდგომა არსებობს, მწეველთა რიცხვი შემცირებულია საშუალოდ 7%-ით, რაც გრანდიოზული შედეგია. ამ მხრივ შთამბეჭდავი შედეგებია წარმოდგენილი ბოლოდროინდელ კვლევებში ავსტრალიიდან და კალიფორნიიდან.

***– რამდენად არის მზად სახელმწიფო, რომ აღასრულოს კანონპროექტით გათვალისწინებული ზომები და რამდენად არის მზად მოსახლეობა, რომ დაემორჩილოს?***

– სახელმწიფომ უნდა აიღოს გონივრული ვადა, რომელშიც მოხდება კანონის ძალაში შესვლა. მანამდე უნდა ჩატარდეს მოსამზადებელი სამუშაო, რომელიც ითვალისწინებს, ერთი მხრივ, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მომზადებას და მეორე მხრივ, მოსახლეობაში საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების ჩატარებას. არა მგონია, რომ მოსახლეობის მხრიდან ამას დიდი წინააღმდეგობა მოჰყვეს.

მთავარია, სახელმწიფომ გამოიჩინოს ნება და მოახლოებული არჩევნების ან სხვა პოპულისტური მოსაზრების გამო არ გადადოს ამის აღსრულება, როგორც ეს მოხდა თავის დროზე ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა მოძრაობის წესების გამკაცრება, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების შეზღუდვა, მშენებლობების დარეგულირება და სხვა საჭირბოროტო საკითხები.


bp

ბი პი ექსპლორეიშნ (კასპიის ზღვა) საქართველო გეგმავს გამოაცხადოს ტენდერი საგზაო ტრანსპორტის მართვის მომსახურების გაწევაზე:

- პროფესიული მძღოლების მოწოდება, ტრეინინგებისა და კომპეტენციის შეფასების უზრუნველყოფა
- ავტოტრანსპორტით მომსახურება და/ან ქირავნობა ქალაქის მასშტაბით, დიდ მანძილებზე და უგზოობის პირობებში სამოძრაოდ
- ავტოტრასპორტის მოვლა/შეკეთების დაგეგმვა, კოორდინაცია, შესრულება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება მწარმოებელთა რეკომენდაციების შესაბამისად
- ტრანსპორტის ქოლ ცენტრის/მგზავრობის დაგეგმარების და კოორდინაციის, ტრანსპორტის დროული მიწოდების მენეჯმენტი
- სატრასპორტო საშუალებების შემდეგი პირობების უზრუნველყოფა: დაზღვევა, რეგისტრაცია, სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერება, საწვავის საბარათე სისტემის უზრუნველყოფა, ინვენტარი, მანქანის რეცხვა, პარკირება, მოძრაობის ჯარიმების გადახდა, და ა.შ.
- ბი პი-ს საკუთრებაში მყოფი, თუ დაქირავებული სატრანსპორტო საშუალებების აღჭურვა მანქანის შიდა მონიტორინგის სისტემით (IVMS)

**დაინტერესებულ კომპანიებს გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი საკონტაქტო ინფორმაცია: კომპანიის სახელი, მისამართი, ტელეფონი, ელ. ფოსტა შემდეგ ელ ფოსტის მისამართზე:arveladm@bp.com ან კომპანიის ოფისის მისამართზე; თბილისი, სულხან ცინცაძის 24, კონტრაქტების განყოფილების უფროსის მაკა არველაძის სახელზე. მოწოდების ბოლო ვადაა 2017 წლის 5 ივნისი.**


# მელიქიშვილის გამზირზე ავტობუსები კვლავ ორმხრივად იმოძრავებენ

თბილისში, მელიქიშვილის გამზირზე მუნიციპალური ავტობუსებისთვის მოძრაობა შესაძლოა კვლავ ორმხრივი გახდეს. ჭავჭავაძის გამზირის მიმართულებით მიმავალი ავტობუსები, კოსტავას ქუჩის ნაცვლად, მელიქიშვილის გამზირით შეძლებენ გადაადგილებას.

საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის ასეთი სქემა, თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს საერთაშორისო კომპანია „მოტ მაკდონალდმა“ შესთავაზა. ამ დროისთვის საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს და ავტობუსის ზოლის მოწყობის თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

როგორც „სითი კვირას“ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში განუცხადეს, საერთაშორისო კომპანია „მოტ მაკდონალდი“ დედაქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სქემებზე მუშაობს და მათი რეკომენდაციაა, რომ მელიქიშვილის გამზირზე ავტობუსის ზოლი – Bus Lane მოეწყოს. შესაძლებელია ეს? მხოლოდ, მეტროსადგურ? „რუსთაველიდან“ ჭავჭავაძის მიმართულებით მოძრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გაკეთდეს.

– სხვა სატრანსპორტო საშუალებები ისევე იმოძრავებს, როგორც მანამდე. ფილარმონიიდან სახელმწიფო უნივერსიტეტისკენ მიმართულება მხოლოდ ავტობუსებისთვის გაიხსნება. ყოველივე მიზნად ისახავს მგზავრებისთვის უფრო ოპტიმალური და მოსახერხებელი მარშრუტის შეთავაზებას, – განაცხადეს ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში.

აღსანიშნავია, რომ 22 მარტს, თბილისში გაიმართა აზიის განვითარების ბანკის (ADB), მომავალი ქალაქების პროგრამის ფარგლებში მომზადებული ანგარიშის – „ქალაქების განვითარების ინიციატივა აზიაში“ პრეზენტაცია, რომელსაც თბილისის მერი დავით ნარმანია მოადგილე ირაკლი ლექვინაძესთან ერთად დაესწრო. ღონისძიებაზე, თბილისის ავტობუსების ქსელის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, კვლევის შედეგები წარადგინეს, რომლის საფუძველზეც ქალაქში არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა შეფასდა. ღონისძიებაზე ავტობუსების ქსელის რეკონსტრუქციის ჩარჩოს პრეზენტაცია გაიმართა. განიხილეს მიწისზედა სატრანსპორტო დერეფნის კონცეპტუალური დიზაინი, რომელიც ეყრდნობა ავტობუსების სწრაფ, ტრანზიტულ სისტემას ან ტრამვაის. დერეფნების შექმნა ხელს შეუწყობს გზების გამტარუნარიანობის გაზრდას და საცობებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას.

როგორც მერის მოადგილემ ირაკლი ლექვინაძემ განაცხადა, ამ ეტაპზე ყველა ოპტიმალური რამდენიმე დერეფანი შეირჩა. ეს არის დიდი დიღომი – მარჯანიშვილის მოედანი, სადაც შეისწავლეს 14 კილომეტრის სიგრძის მარშრუტი ავტობუსებისთვის სპეციალური პრიორიტეტული ხაზების მოსაწყობად (Bus Lane) და ასევე, ტრამვაის განსავითარებლად. ასევე განიხილეს, მელიქიშვილის გამზირზე Bus Lane -ის მოწყობის შესაძლებლობები.

# მოსკოვში ქარიშხალს ექვსი ადამიანი ემსხვერპლა

როგორც რუსეთის საგამოძიებო კომიტეტი იტყობინება, ძლიერმა ქარმა ხეები და ელექტროგადამცემი ბოძები მოგლიჯა, რის გამოც მოსკოვის დიდი ნაწილი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი.

საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენლის, იულია ივანოვას განცხადებით, ქარის მიერ მოგლეჯილი ხეები გამვლელებს დაეცა, 5 მათგანი ადგილზე დაიღუპა, ერთი კი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ამჟამინდელი მონაცემებით, მოსკოვში ქარის სიჩქარე წამში 16 მეტრს აღწევს. სინოპტიკოსები ამინდის გაუარესებას ვარაუდობენ.

# თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ მიხეილ ჩინჩალაძე დაინიშნა

თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ მიხეილ ჩინჩალაძე დაინიშნა. ეს გადაწყვეტილება იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ რამდენიმე წუთის წინ მიიღო. ჩინჩალაძის კანდიდატურას მხარი საბჭოს 12-მა წევრმა დაუჭირა, წინააღმდეგი წავიდა 1 წევრი.

აღსანიშნავია, რომ ჩინჩალაძე სააპელაციო სასამართლოში უვადოდ რამდენიმე დღის წინ დაინიშნა. ჩინჩალაძის კანდიდატურას აპროტესტებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. ისინი აცხადებენ, რომ ისეთი ოდიოზური ფიგურები, როგორიც მიხეილ ჩინჩალაძე და ლევან მურუსიძე არიან, ხელისუფლებას სასამართლოს საკონტროლებლად სჭირდება.

სააპელაციო სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ, ვალერი ცერცვაძემ, თანამდებობა 25 მაისს დატოვა. ცერცვაძემ ამის ოფიციალურ მიზეზად მის მიერ გავრცელებულ განცხადებაში შპს iPlus-sa და Itechnic-თან დაკავშირებული დავა დაასახელა, რასთან მიმართებაშიც მისი სახელიც არაერთხელ დასახელდა.

მიხეილ ჩინჩალაძე ქ. თბილისში 1978 წლის 9 მარტს დაიბადა. მან 1984-1995 წლებში წარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის №57-ე საშუალო სკოლა. 1995-2000 წლებში მან ასევე წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დღის უფასო დასწრებული განყოფილება, იურისტის კვალიფიკაციით – სპეციალობა სამართალმცოდნეობა. 2000-2003 წლებში იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტი. ამჟამად არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი. 1999-2004 წლებში იყო თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის სხდომის მდივანი, თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის თანაშემწე. 2004-2007 წლებში იყო საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე, შიდა ქართლის საოლქო პროკურორი, მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურორი. 2005 წლის მაისი – საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. 2007 წელს მინიჭებული აქვს საკლასო ჩინი – იუსტიციის უფროსი მრჩეველი. 2004 წლის ივნისში გადაეცა სერტიფიკატი კომპლექსურ ფინანსურ დანაშაულთა თემაზე. 2006 წლის მაისში აშშ ქ. ინდიანაპოლისში, აშშ პროკურატურის კვლევის ინსტიტუტის სერტიფიკატი გადაეცა თემაზე – კონფერენცია საზოგადოებრივი პროკურატურის თემაზე. 2007 წლის იანვარი – წარმატებით ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (საერთო სპეციალიზაციით). ასევე წარმატებით ჩაბარებული აქვს მოსამართლის თანაშემწის, პროკურატურის მუშაკთა, ადვოკატთა (საერთო სპეციალიზაციით) საკვალიფიკაციო გამოცდები. 2007 წლის ივნისიდან არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

## სპეცოპერაცია შარტავაზე — დაკავებულია 2 პირი

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით გამოძალვის ბრალდებით, 1958 წელს დაბადებული რ.ჟ. და 1983 წელს დაბადებული ბ.ჯ. თბილისში, შარტავას ქუჩაზე დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ რ.ჟ. და ბ.ჯ. ერთ-ერთ ბიზნესმენს, სიცოცხლის მოსპობის მუქარით, 200.000 აშშ დოლარს ძალავდნენ.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები მანამდე დააკავეს, ვიდრე ბიზნესმენი მათ მოთხოვნილ თანხას გადასცემდა.

გამოძიება დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით გამოძალვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით).

## პოლიციამ ლანჩხუთში დიდი რაოდენობით სუბოქსინი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1976 წელს დაბადებული ნ.ჭ., დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გადაზიდვის ბრალდებით, ლანჩხუთში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 4 აბი, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ბუპრენორფინს შეიცავს.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ნ.ჭ. დაკავებისას ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გადაზიდვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

## სოფელ წყალთბილაში ხანძარს მამა-შვილი ემსხვერპლა

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალთბილაში ხანძარს 82 წლის მამა და 58 წლის ქალიშვილი ემსხვერპლა.

გავრცელებული ინფორმაციით, ცეცხლი საცხოვრებელ სახლს გაუჩნდა. ისინი სახლში მარტო ცხოვრობდნენ.

როგორც „ნიუპოტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 187-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

## ვახტანგ მჭედლიშვილი: „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან კონკურენცია გახდა დასჯადი“

– დღეს მართლმსაჯულების სისტემაში ვხედავ საფრთხის შემცველ ტენდენციას და ამ ტენდენციას ჰქვია არაკონკურენტუნარიანობა, – ამის შესახებ ჟურნალისტებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრმა ვახტანგ მჭედლიშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, არაკონკურენტუნარიანობა გამოავლინა დღევანდელმა დღემაც, როდესაც სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ვაკანტურ თანამდებობაზე მხოლოდ ერთადერთი კანდიდატი იყო წარდგენილი.

– მინდა ამ საფრთხის შემცველ ტენდენციაზე მივაპყრო საქართველოს პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის ყურადღება. ამ საფრთხეს ჰქვია მართლმსაჯულების სისტემაში არაკონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა. დღეს დაგვანახა პროცესმა, რომ ფაქტობრივად, არც ერთმა კანდიდატმა, რომელიც იყო დასახელებული, სურვილი არ გამოხატა კონკურსში მონაწილეობის. გასული პერიოდში მოსამართლეთა კონფერენციამ აირჩია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამი წევრი და აქაც არაკონკურენტუნარიანი გარემო გვქონდა. 2012 წელს, სასამართლო რეფორმის პირველი ტალღის დროს, ჯანსაღი კონკურენციის სათანადო დებულებები შეიქმნა, მოსამართლეთა კორპუსს მიეცა შესაძლებლობა, თვითონ აერჩია საკუთარი რიგებიდან საბჭოს წევრები. მაშინ კონკურენტული გარემო საკმაოდ მაღალი იყო, მრავალმა მოსამართლემ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, ნაწილმა გაიმარჯვა, ნაწილი დამარცხდა. ვინც ვერ გაიმარჯვა, ამ მოსამართლეების მიმართ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან განხორციელდა მიზანმიმართული დევნა, გათავისუფლდნენ თანამდებობიდან, აღარ აირჩიეს თანამდებობებზე და აღმოჩნდა, რომ კონკურენცია მართლმსაჯულების სისტემაში გახდა დასჯადი. ამ მესიჯმა სრულიად იმუშავა. პარლამენტის მიერ მიღებული კარგი ნორმების რეალიზება უნდა მოხდეს კონკურენციისთვის, თუმცა დღეს ამის შესაძლებლობა თანდათან ისპობა. ამ საკითხებზე ერთად უნდა იმუშაოს სასამართლო კორპუსმა. საზოგადოებამ და საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სამივე შტომ, – განაცხადა მჭედლიშვილმა.

## ინტერნეტ ბანკის პირადი მონაცემების მოტყუებით მოპოვება — დაკავებულია 5 პირი

ინტერნეტ ბანკის პირადი მონაცემების მოტყუებით მოპოვება – დაკავებულია 5 პირი

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კომპიუტერული სისტემის ხელყოფის, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის და თაღლითობის ბრალდებით, თბილისსა და გორში 5 პირი: 1989 წელს დაბადებული ლ. ბ., 1977 წელს დაბადებული ბ. ფ., 1984 წელს დაბადებული რ.ლ., 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ე. და 1977 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რ.თ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა რამდენიმე მოქალაქის ინტერნეტ ბანკის პირადი მონაცემები მოტყუებით მოიპოვეს და მათი გამოყენებით, სხვადასხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან სესხები აიღეს. დაკავებულები, სესხის დამტკიცების შემდეგ, ფულს მათთვის ხელმისაწვდომ ანგარიშზე რიცხავდნენ, საიდანაც ხდებოდა თანხის განაღდება. აღნიშნული დანაშაულებრივი სქემის საშუალებით, ბრალდებულები საკრედიტო დაწესებულებების კუთვნილ 15.000 ლარს უკანონოდ დაეუფლნენ.

გამოძიება კომპიუტერული სისტემის ხელყოფის, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის და თაღლითობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 284-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილებით, 286-ე მუხლის 1-ელი და მე-3 ნაწილებით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით).

## ქობულეთის ტრაგედიის გაგრძელება — ბავშვების სიკვდილიდან 2 წლის თავზე „ხასანას“ მეპატრონემ თავი მოიკლა

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, ქობულეთში „ხასანას“ სასტუმროს მეპატრონემ, დამწვარ შენობაში თავი ჩამოიხრჩო.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო, თუმცა უწყებაში გარდაცვლილის ვინაობას არ აკონკრეტებენ.

შეგახსენებ, რომ 2015 წელს 10 მაისს, ქობულეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე, ზაზა ა-ს კუთვნილ, ე.წ. „ხასანას“ სასტუმროში ხანძარი გაჩნდა.

ამ დროს სასტუმროში იმყოფებოდნენ რუსთავის ქორეოგრაფიული ანსამბლ „სიხარული-2-ის“ წევრები, მათ შორის, არასრულწლოვნები, რომელთაგანაც სამი ადგილზე დაიღუპა.

ქობულეთის რაიონული პოლიციის თანამშრომლებმა და მაშველებმა ალმოდებული შენობიდან 45 ადამიანი, მათ შორის, 30 მოზარდი, გამოიყვანეს.

გამოძიების ინფორმაციით, საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში დაინიშნა სხვადასხვა სახის კომპლექსური ექსპერტიზა. საინჟინრო ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ სასტუმროში დარღვეული იყო სამშენებლო ნორმები და წესები, ხოლო სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ ხანძრის გაჩენა დაკავშირებული იყო ელექტრო-ტექნიკურ გაუმართაობასთან.

## ლადო ჭანტურია ევროსასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატია

იუსტიციის სამინისტროში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის მსურველთა შერჩევის მიზნით გასაუბრებები დასრულდა.

მთავრობისთვის გადაწყვეტილების მისაღებად წარსადგენი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის მსურველი 5-კანდიდატიანი სია შემდეგნაირად გამოიყურება: 1. ლადო ჭანტურია – 5 ; 2. სოფიო ჯაფარიძე – 4.69; 3. შოთა გეწაძე – 3.85; 4. თამარ ალანია – 3.77; 5. ირაკლი დონდოლაძე – 3.69.

კომისია კანდიდატებს მთავრობას წარუდგენს.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, მოსამართლეობის მსურველი ხუთი კანდიდატის დასახელებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის მსურველთა შერჩევის მიზნით შექმნილმა სპეციალურმა სამთავრობო კომისიამ საკუთარი მანდატი ამოწურა.

სტრასბურის სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების მთავრობისთვის წარსადგენად შექმნილი სამთავრობო კომისია ორი დღის განმავლობაში 23 კანდიდატს გაესაუბრა.

## რუსთავში ბავშვს ავტომანქანა დაეჯახა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა რუსთავში. მსუბუქი ავტომანქანა მცირეწლოვან ბავშვს დაეჯახა. ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო და საპატრულო პოლიციის ბრიგადები. მძღოლს შემთხვევის ადგილი არ დაუტოვებია. არსებული ინფორმაციით, ბავშვმა სამანქანო გზაზე გადაირბინა. ამ დროისთვის ბავშვის მდგომარეობა სტაბილურია, ის ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოშია გადაყვანილი.

როგორც „ნიუპოსტს“ შს სამინისტროს პრესცენტრში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით საქმე 276-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიძრა.

## გორის კლინიკაში სიმსივნით დაავადებულმა მამაკაცმა თავი მოიკლა

გორის კლინიკა „გორმედში“ მამაკაცი შეიყვანეს, რომელმაც თვითმკვლელობის მიზნით ვენები გადაიჭრა. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ინფორმაციით, სუიციდის მიზეზი სიმსივნის დიაგნოზი იყო, რომელიც მას რამდენიმე ხნის წინ დაუდგინეს.

კლინიკაში პაციენტს დახმარება აღმოუჩინეს და სტაციონარში დააწვინეს. თუმცა, როდესაც ის პალატაში მარტო დარჩა, მესამე სართულის ფანჯრიდან გადმოხტა. პაციენტი ადგილზე გარდაიცვალა.

# ჯეიმს მატისი: „პუტინმა იცის, რომ ნატო რუსეთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს“

გენერალმა ჯეიმს მატისმა თავდაცვის მინისტრის რანგში თავისი პირველი ტელეინტერვიუ მისცა.

საუბრის ძირითადი თემა რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობები იყო. ტელეწამყვანმა მატისს კითხვა პირდაპირ დაუსვა:

– რა სურთ რუსებს?

გენერლის პასუხი ამომწურავი იყო:

– პუტინმა ახალი დემოკრატიული რუსეთი ვერ ააშენა, შესაბამისად, მას სურს ხალხის ყურადღება სხვა თემაზე გადაიტანოს.

ველიკოდერჟავული იდეოლოგია რუსეთში მუდამ პოპულარული იყო. პუტინმაც ეს წინა პლანზე წამოსწია. დაიწყო ევრაზიული კავშირის შექმნა და ამ საქმეში დიდი ფული ჩადო. ძალადობითა და შანტაჟით ამ კავშირში ჩაითრიეს ბელარუსი, ყაზახეთი, სომხეთი, ყირგიზეთი. უკრაინაში რუსეთი გაუვალ კედელს წააწყდა. თავდაპირველად კრემლმა დადო ფსონი იანუკოვიჩზე, რომლის პოლიტიკამაც უკრაინის მთელი სახელმწიფო მანქანის პარალიზება გამოიწვია. მაიდანმა იანუკოვიჩის კორუმპირებული რეჟიმი დაამხო. უკრაინაში ახალი ერა დაიწყო.

– იანუკოვიჩის დამხობა რუსეთის სერიოზული მარცხი იყო, – თქვა მატისმა.

გენერალმა ხაზი გაუსვა, რომ დასავლეთი არასოდეს განიხილავდა უახლოეს მომავალში უკრაინის ნატოში ან ევროკავშირში გაწევრიანებას. შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია პუტინის ბრალდება, თითქოს უკრაინული რევოლუცია ამერიკელებმა მოაწყვეს და პუტინს ყირიმი რომ არ შეეერთებინა, იქ ამერიკული ბაზები განლაგდებოდნენ.

– ისმის კითხვა: თუკი გვინდოდა ბაზების მოწყობა, რატომ არ განვალაგეთ ისინი ოდესაში, ხერსონში, ნიკოლაევში? – ამბობს მატისი.

გენერალმა აღნიშნა, რომ ნატო რუსეთს საფრთხეს არ უქადის და უკრაინაში ნატოს ბაზების განლაგება არც არასოდეს იგეგმებოდა.

– პუტინმა ეს შესანიშნავად იცის, – თქვა მატისმა, – თუმცა მას მტრის ხატი სჭირდება და ამას ნატოს ან აშშ-ის სახით ხელოვნურად ქმნის, რათა ამ ტალღაზე ძალაუფლება შეინარჩუნოს.

გენერალმა აღნიშნა, რომ აშშ-ის მიზანი არა რუსეთზე დარტყმა, არამედ მისი ევროპასთან დაახლოებაა.

– ჩვენ გვსურს, რომ რუსეთი არ იყოს ასეთი აგრესიული და ცივილიზებული წესებით ითამაშოს, – განაცხადა მატისმა.

# ანგელა მერკელი: „ევროპას ამერიკელების იმედი აღარ უნდა ჰქონდეს!“

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ ტრამპთან მოლაპარაკებებისას კლიმატის შეცვლის საკითხთან დაკავშირებით ხელშეკრულებაზე შეთანხმება ვერ მოხერხდა.

კანცლერმა თავისი უკმაყოფილება ხმამაღლა გამოთქვა. მან აღნიშნა, რომ ბრექსიტის შემდეგ ევროპას ბრიტანეთი გამოაკლდა, ახლა პრობლემები უკვე აშშ-სთან შეიქმნა.

– როგორც ჩანს, ევროპა საკუთარი ძალების და არა ამერიკელების იმედზე უნდა იყოს, – თქვა მერკელმა.

კანცლერმა აღნიშნა, რომ დიდ იმედებს ამყარებს საფრანგეთთან თანამშრომლობაზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მაკრონი პრეზიდენტად აირჩიეს.

# ჩრდილოეთ კორეა რაკეტების გამოცდას განაგრძობს

ჩრდილოეთ კორეა რაკეტების გამოცდას განაგრძობს. ამის თაობაზე სამხრეთ კორეის დაზვერვა იტყობინება.

ქალაქ ვენსის მახლობლად მდებარე პოლიგონიდან ჩრდილოეთ კორეამ კიდევ ერთი ბალისტიკური რაკეტა გაუშვა.

ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეა საკუთარ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის სრულყოფას განაგრძობს და ამ პროცესს ვერავინ შეაჩერებს.

– მალე ჩვენი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა მთელ ქვეყანას მოედება, – ამბობს ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი.

# ვლადიმერ პოზნერი: „რუსული ეკლესია პრობლემად გადაიქცა!“

ცნობილი რუსი ტელეწამყვანის ვლადიმერ პოზნერის აზრით, რუსული ეკლესია სახელმწიფოს იდეოლოგიური საყრდენი გახდა. კომუნისტური პარტიის ფუნქციები ეკლესიამ შეითავსა. ის საზოგადოებაში პუტინის რეჟიმისათვის სასურველი განწყობილებების დანერგვას ცდილობს.

– რუსეთში აგრესიული კლერიკალიზმის საფრთხე გაჩნდა. ეს მიმდინარეობა თავისი არსით ანტიდემოკრატიული და ანტიდასავლურია. რუსული ეკლესიაც პრობლემად გადაიქცა, – ამბობს პოზნერი.

# უკრაინამ ნატოს რუსებზე ინფორმაცია გადასცა

უკრაინის ხელისუფლებამ ნატოს გადასცა ინფორმაცია რუსების საერთაშორისო ტერორიზმთან კავშირის შესახებ.

საუბარია რუსების კავშირზე მოძრაობა „თალიბანთან“.

აღნიშნული ცნობა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტ როზა იუნკიავიჩენეს გადასცა პეტრო პოროშენკოს ბლოკის წარმომადგენელმა დეპუტატმა ირინა ფრიზმა. მანვე მოამზადა ანალიტიკური მოხსენება რუსების კავშირზე ისლამურ სახელმწიფოსთან, ჰესბოლასთან და სხვა ორგანიზაციებთან.

იუნკიავიჩენემ ფრიზს მადლობა გადაუხადა.

– უკრაინა კი არ უნდა იყოს ნატოს მადლობელი, არამედ ნატო უნდა იყოს უკრაინის მადლობელი, – თქვა იუნკიავიჩენემ.

მან ხაზი გაუსვა, რომ ჩრდილოატლანტიკური ბლოკი უკრაინასთან კავშირებს განამტკიცებს.

– ნატოს ქვეყნების დაცვა უკრაინიდან დაიწყება, – თქვა იუნკიავიჩენემ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# კანადის პრემიერმა თავი ნატოს ლოგოტიპიანი ვარდისფერი წინდებით მოიწონა

კანადის პრემიერ-მინისტრმა ჯასტინ ტრიუდომ ბრიუსელში გამართული ნატოს წევრი სახელმწიფოების მეთაურების შეხვედრის დროს ალიანსის ლოგოტიპით დამშვენებული ვარდისფერი წინდებით თავი მოიწონა. გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ამ მომენტის ამსახველი ფოტოსურათი ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

– მაგარი წინდებია, – აღნიშნულია სურათისთვის თანდართულ კომენტარში, ხოლო თუ სად შეიძინა კანადის ხელისუფლების მეთაურმა ეს წინდები, უცნობია.

აღსანიშნავია, რომ ბრიტანელ კოლეგა ტერეზა მეისთან საუბრის დროს გადაღებულ და ინსტაგრამში მის გვერდზე განთავსებულ ფოტოზე კანადის პრემიერს ცისფერი წინდები აცვია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ბუნებრივი წამალი მართლა საოცარია

ბევრი მსმენია ქალბატონი ეთერის შესახებ დადებითი სულ. შემდეგ მეც გავხდი თვითმხილველი. მქონდა გართულებული კუჭის წყლული 10 წელი. ძალიან ცუდად ვიყავი. სად არ ვიმკურნალე, მაგრამ ამაოდ. ქალბატონმა ეთერმა ერთ თვეში მომირჩინა საოპერაციო წყლული. ქალბატონი ეთერის წამალი სასწაულია, მედიცინას გაუსწრო.

**დათო ხინჯაძე**

**მისი ტელეფონია: 269-17-37; მობ.: 599-96-44-63 ეთერ კიკვილაშვილი**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი)– სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ახალგაზრდული რაგბი – საქართველოში მსოფლიო იწყება, კაპიტნები მოსაგებად იქადნებიან

31 მაისს თბილისსა და ქუთაისში სტარტს აიღებს მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატი. საქართველოს 12 უძლიერესი ნაკრები სტუმრობს. სასტუმრო „ბილტმორში“ იმ ჯგუფების კაპიტნების ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა, რომელთა გუნდებიც თბილისში ითამაშებენ.

ბ ჯგუფის (ირლანდია, ახალი ზელანდია, შოტლანდია, იტალია) შეხვედრები ქუთაისში, „აია არენაზე“ გაიმართება, ხოლო ა (ინგლისი, ავსტრალია, უელსი, სამოა) და გ (არგენტინა, სამხრეთ აფრიკა, საფრანგეთი, საქართველო) ჯგუფის შეხვედრებს ავჭალის სარაგბო სტადიონი უმასპინძლებს.

ჯგუფური ეტაპის თამაშები 31 მაისს, 4 და 8 ივნისს გაიმართება, ხოლო პლეი ოფები და ფინალები – 13 და 18 ივნისს მიხეილ მესხისა და ავჭალის სტადიონებზე.

აი, რა თქვეს კაპიტნებმა.

**ილია სპანდერაშვილი, საქართველო:**

– ძალიან სასიამოვნოა, რომ ასეთი დონის ტურნირი საქართველოში ტარდება. ცხადია, რომ ურთულესი მატჩები გველის. მეტოქეები ფიზიკურად და ტაქტიკურად კარგად არიან მომზადებული. თუმცა, ჩვენც ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ და მაქსიმუმს გავიღებთ, რათა გულშემატკივარი კმაყოფილი დარჩეს, ჩვენ კი მინდორი თავაწეულებმა დავტოვოთ. ცხადია, მიზანი, ჯგუფში რაც შეიძლება მაღალი ადგილის დაკავება და შემდეგ პლეიოფში მაღალი დონის თამაშის ჩვენებაა.

**ტომას ალვორნოსი, არგენტინა:**

– საქართველოზე პირველი შთაბეჭდილება ყოველმხრივ დადებითია. ჩვენც ვეცდებით, საუკეთესო თვისებები წარმოვაჩინოთ. პირველივე მატჩში მასპინძელ საქართველოს ვეთამაშებით და ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ. ქართველებს შარშან მოსამზადებელ მატჩებში გავეჯიბრეთ და მახსოვს, როგორი რთული სპარინგები იყო. საქართველოს ნაკრები განსაკუთრებით კარგი ფიზიკური მომზადებით გამოირჩევა და ახლაც დიდ ბრძოლას ველით.

**ფლორიან ვერეგე, საფრანგეთი:**

– საქართველოში პირველად ვარ და აქაურობა ძალიან მომწონს. ჩვენ მკაფიო გეგმა გვაქვს შემუშავებული, რომლის თანახმადაც მატჩიდან მატჩამდე წინ უნდა ვიაროთ. საქართველოს ნაკრებთან თამაშის გამოცდილება ჩვენც გვქვს და კარგად გვახსოვს, რომ გასულ მსოფლიო თასზე მცირე სხვაობით ვიმარჯვეთ. ახლა, ჯგუფში ერთად ვართ და იმედია, უფრო დამაჯერებლად მოვიგებთ.

**ერნსტ ფანრეინი, სამხრეთი აფრიკა:**

– შემიძლია ვთქვა, რომ საქართველო ძალიან ლამაზი ქვეყანაა. არგენტინის, საფრანგეთისა და საქართველოს სახით, ჯგუფში რთული მეტოქეები გვყავს, მიზანი კი, ცხადია, პირველობა იქნება. პირველ მატჩში საფრანგეთთან გამარჯვება ძალიან წაგვწევს წინ.

**რის ჰიუეთი, ავსტრალია:**

– საქართველო ძალიან ლამაზი ქვეყანაა. რაგბი კარგად ვითარებდა და მჯერა, ტრიბუნებზეც გათვითცნობიერებული ქომაგი იქნება. ტურნირის მონაწილეებს წარმატებას ვუსურვებ და იმედია, შეჯიბრით ყველა ისიამოვნებს. ჩემი გუნდის იმედი ნამდვილად მაქვს. ავსტრალიაში კარგი თამაში მოდის და რამდენიმე მათგანს ზე-რაგბში თამაშის გამოცდილება აქვს. ცხადია, ჩვენი მიზანი პირველი ადგილის დაკავებაა, დანარჩენი კი შეჯიბრის მიმდინარეობისას გამოჩნდება.

**ვილ ჯოუნზი, უელსი:**

– მძიმე ტურნირის მოლოდინში ვართ. ჯგუფურ ეტაპზე გასული წლის ჩემპიონ ინგლისს, ავსტრალიასა და სამოას ვეთამაშებით და ცხადია, რომ იოლ გამარჯვებას ვერავისთან დავგეგმავთ.

**ივან ფეპულეაი, სამოა:**

– ახალგაზრდულ მსოფლიო თასზე პლანეტის 12 უძლიერესი ნაკრებია შეკრებილი და ეს თავისთავად მეტყველებს, რა დონის შეჯიბრს უნდა ველოდოთ. ბიჭების სახელით შემიძლია განვაცხადო, რომ ყველა მატჩში ბოლომდე ვიბრძოლებთ. წინასწარი გათვლებით, ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად უნდა ვიბრძოლოთ, თუმცა, ტურნირის სტარტი ძალთა ბალანსს კარგად გამოაჩენს. პირველივე მატჩში ინგლისს ვეთამაშებით და გავიაზრებთ, რისი იმედი უნდა გვქონდეს.

**ზეკ მერსერი, ინგლისი:**

– მსოფლიო თასისთვის ნაყოფიერი მზადება გავიარეთ და წინდაწინვე შეგუებულნი ვართ იმას, რომ ტურნირზე სუსტი მეტოქე არ გველოდება. ნათელია, რომ ჩვენი მიზანი ტიტულის შენარჩუნება იქნება, რისკენაც ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ.

# ტორპედომ ზედიზედ მეხუთედ მოიგო, ლოკომოტივმა მეხუთედ წააგო

**დინამო (თბ)-დინამო (ბთ) 4:0**

**თბილისი.** დინამო არენა

1:0 მიქელთაძე (35), 2:0 ლობჟანიძე (65), 3:0 გველესიანი (71), 4:0 ლობჟანიძე (80)

**დინამო (თბ):** ლიტოვჩენკო, თევზაძე, ლოჩოშვილი, გველესიანი, მიშენკო (სალუქვაძე 56), ქარდავა, კიტეიშვილი, ჩაკვეტაძე (ნინუა 88), ლობჟანიძე (კობოური 85), მიქელთაძე, არაბული

**დინამო (ბთ):** ტაკიძე, გოგიტიძე, კვირკველია, სუხიაშვილი (თევდორაძე 32), ფარტენაძე, ტვილდიანი, თარხნიშვილი, შონია, ფონიავა, კენედი (კვანტალიანი 71), კვასოვი (გორელიშვილი 84)

თბილისელთა სრული უპირატესობით წარიმართა და მათივე დამაჯერებელი გამარჯვებით, 4:0 დასრულდა. დედაქალაქელებმა თავიდანვე აქტიურად შეუტიეს და მე-6 წუთზე ბაჩანა არაბულს ანგარიშის გახსნაც შეეძლო, მაგრამ შემტევმა ვერ გაიტანა. თამაშს თბილისური გუნდი აკონტროლებდა და ბათუმელები კონტრშეტევებზე თამაშს ცდილობდნენ.

მე-19 წუთზე საბა ლობჟანიძემ ითამაშა შეტევის მარცხენა ფრთაზე კარგად, გაცდა მეტოქეს, ჩააწოდა ბურთი, დასწრებაზე არაბულმა ითამაშა კარგად, მაგრამ დარტყმისას ბურთი აეჭრა ფეხიდან. მომდევნო შეტევაში მასპინძელთა კაპიტანმა გაისროლა შორიდან, ბურთი ოდნავ აცდა სტუმართა კარს.

28-ე წუთზე თბილისელებმა სწრაფი და ლამაზი კონტრშეტევა წამოიწყეს, საბოლოოდ გიორგი ჩაკვეტაძე ურტყამდა მეკარისგან დაუცველი კარისკენ, ბურთი კი ბოლო წამს მცველმა მოიგერია.

35-ე წუთზე თბილისელებმა გახსნეს ანგარიში. შეტევის მარცხენა ფრთიდან გიორგი თევზაძემ საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი ბექა მიქელთაძემ ითამაშა დასწრებაზე – 1:0.

მალევე არაბულმა თავით დაარტყა, მაგრამ არაზუსტად და პირველი ტაიმი თბილისელებმა 1:0 მოიგეს.

მეორე ნახევრის დებიუტში გელა გოგიტიძემ შორი მანძილიდან დაარტყა, თბილისელთა კარი ძელმა იხსნა. საპასუხოდ ჯერ ლუკა ლოჩოშვილის დარტყმული აცდა ბათუმელთა კარს და შემდეგ ოთარ კიტეიშვილის დარტყმულმა ჩაუქროლა ბათუმელთა კარის ძელს.

65-ე წუთზე მასპინძლებმა მეორედ აიღეს სტუმართა კარი. ბაჩანა არაბულმა ტექნიკურად ითამაშა მეტოქის საჯარიმოში, ბურთი მიქელთაძეს გადააწოდა, რომელმაც თავის მხრივ ლობჟანიძე იპოვა – 2:0.

71-ე წუთზე გიორგი გველესიანმა ითამაშა კარგად და მე-3 გოლი გაიტანა ბათუმელთა კარში. საჯარიმო დარტყმა კი, რომელსაც გოლი მოჰყვა, გიორგი თევზაძემ შეასრულა. შეხვედრის დასრულებამდე 10 წუთით ადრე ისევ მასპინძელთა შეტევა და არაბულს ისევ არ გაუმართლა ბოლო მომენტში. სამაგიეროდ, მომდევნო შეტევაში მისი პასით ლობჟანიძემ დუბლი გაიფორმა. აღსანიშნავია, რომ გოლამდე საბას დარტყმული ბათუმელთა კარის ჯერ ერთ ძელს მოხვდა და შემდეგ მეორეს. საბოლოოდ შეხვედრა დედაქალაქელთა გამარჯვებით 4:0 დასრულდა.

**ტორპედო-სამტრედია 2:1**

**ზესტაფონი.** დავით აბაშიძე

1:0 ბაბუნაშვილი (12), 2:0 მარკოზაშვილი (43სკ), 2:1 ბერიაშვილი (90)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ხურცილავა, ჭიჭინაძე, გ.გურული, ტაბატაძე, ბაბუნაშვილი (მამასახლისი 61), გიგაური, კუხიანიძე, დოლიძე, ტუღუში (საღრიშვილი 80), კაპანაძე (საბანაძე 68)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, მთივლიშვილი (ახალაძე 77), სანდოხაძე, კასრაძე, მჭედლიშვილი, მანჯგალაძე, დათუნაიშვილი, რაჟამაშვილი, მარკოზაშვილი (ჩაგელიშვილი 46), ბერიაშვილი, ჯიქია (ბელოვი 59)

გაძევება: მანჯგალაძე (73)

მიმდინარე სეზონში ეს იმერული გუნდების მეოთხე ოფიციალური შეხვედრა გახლდათ. მათი პირველი დაპირისპირება მარტვილში, სუპერთასზე შედგა და სამტრედიელთა გამარჯვებით დასრულდა. მას შემდეგ ტორპედოელებმა ჯერ ეროვნული ლიგის პირველი წრის გასვლით თამაშში აჯობეს მეტოქეს და მერე საკუთარ არენაზე ქვეყნის თასის გათამაშების მერვედფინალში სძლიეს.

ტორპედოსთვის წარმატებული გამოდგა მორიგი, მასპინძლის სტატუსით ზესტაფონში გამართული მატჩიც, რომლის შემდეგ ქუთაისელებმა უკვე 5 ქულით ჩამოიტოვეს უახლოესი მდევარი და სატურნირო ცხრილში მე-2 პოზიცია უფრო მყარი გახადეს.

პირველ ტაიმში თამაში ტორპედოელთა საგრძნობი უპირატესობით წარიმართა. მათ დებიუტშივე აქტიურად შეუტიეს მეტოქეს და ზედიზედ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, აქედან პირველი რეალური საგოლე მე-10 წუთზე, როდესაც თორნიკე კაპანაძემ ისარგებლა მცველის შეცდომით და მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან, საკმაოდ ახლო მანძილიდან ხარიხას გადააცილა. თუმცა გოლმა არ დაახანა. ამ ეპიზოდიდან 2 წუთში გიორგი გურულმა მინდვრის სიღრმიდან შესანიშნავი პასით შოთა ბაბუნაშვილი ომარ მიგინეიშვილის პირისპირ გაიყვანა. ტორპედოელთა ვეტერანი სანაქებოდ გაისარჯა – მისი ზუსტი დარტყმის შემდეგ მეკარე უძლური აღმოჩნდა.

ტორპედოელები დაწინაურების შემდეგაც დომინირებდნენ მოედანზე. მიზანსწრაფული თამაში მათ შესვენებამდე 2 წუთით ადრეთაც დაუფასდათ. გრიგოლ დოლიძემ მარცხენა ფრთიდან, კუთხურიდან ოსტატურად ჩაახვია ბურთი, ახლო ძელთან მყოფმა თემურ მარკოზაშვილმა მოგერიებისას წაჰკრა თავი ბურთს, რომელიც ბადეში აღმოჩნდა.

ქუთაისელებმა სოლიდური ფორა შეიქმნეს. რა თქმა უნდა, სამტრედიელები ვითარების შეცვლას ცდილობდნენ და მე-2 ტაიმში უფრო მეტს უტევდნენ. 59-ე წუთზე შეცვლაზე გამოსულ დავით ჩაგელიშვილს შეეძლო თავის გამოჩენა და ანგარიშში სხვაობის შემცირება, თუმცა მისი ახლოდან დარტყმული ხარიხას გადაეკლო. ტორპედოელები კონტრიერიშებს მიმართავდნენ და რამდენჯერმე შეეძლოთ მეტოქის დასჯა, ოღონდ შანსით ვერ ისარგებლეს. 73-ე წუთიდან სამტრედია კაცნაკლული აგრძელებდა ბრძოლას – მე-2 გაფრთხილების გამო გიული მანჯგალაძეს მოუხდა მოედნის დატოვება. დარჩენილ დროში ტორპედოელებმა რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელეს, თუმცა ანგარიშის გაზრდა ვერ მოახერხეს. პირიქით. თამაშის უკანასკნელ წამებზე საკუთარ კარში მიიღეს გოლი გიორგი ბერიაშვილისგან.

ეს ეროვნული ლიგის მეორე წრეში ტორპედოელთა პირველი გაშვებული გოლი იყო. ტორპედომ კი ზედიზედ მეხუთე, დამსახურებული გამარჯვება იზეიმა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## შედეგები

**28 მაისი**

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

ჰონდურასი-სალვადორი ..... 2:2
მექსიკა-ხორვატია ..... 1:2

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალკორკონი-ტენერიფე ..... 1:3
სარაგოსა-რაიო ..... 1:1
მალიორკა-ნუმანსია ..... 0:0
ხიმნასტიკი-ხირონა ..... 3:1
ელჩე-რეუსი ..... 1:1
კორდობა-ოვიედო ..... 4:2

**იტალია. სერია ა**

კალიარი-მილანი ..... 2:1
რომა-ჟენოა ..... 3:2
სამპდორია-ნაპოლი ..... 2:4
ინტერი-უდინეზე ..... 5:2
კროტონე-ლაციო ..... 3:1
პალერმო-ემპოლი ..... 2:1
ტორინო-სასუოლო ..... 5:3
ფიორენტინა-პესკარა ..... 2:2

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 38 | 29 | 4 | 5 | 77-27 | 91 |
| 2.რომა | 38 | 28 | 3 | 7 | 90-38 | 87 |
| 3.ნაპოლი | 38 | 26 | 8 | 4 | 94-39 | 86 |
| 4.ატალანტა | 38 | 21 | 9 | 8 | 62-41 | 72 |
| 5.ლაციო | 38 | 21 | 7 | 10 | 74-51 | 70 |
| 6.მილანი | 38 | 18 | 9 | 11 | 57-45 | 63 |
| 7.ინტერი | 38 | 19 | 5 | 14 | 72-49 | 62 |
| 8.ფიორენტინა | 38 | 16 | 12 | 10 | 63-57 | 60 |
| 9.ტორინო | 38 | 13 | 14 | 11 | 71-66 | 53 |
| 10.სამპდორია | 38 | 12 | 12 | 14 | 49-55 | 48 |
| 11.კალიარი | 38 | 14 | 5 | 19 | 55-76 | 47 |
| 12.სასუოლო | 38 | 13 | 7 | 18 | 58-63 | 46 |
| 13.უდინეზე | 38 | 12 | 9 | 17 | 47-56 | 45 |
| 14.კიევო | 38 | 12 | 7 | 19 | 43-61 | 43 |
| 15.ბოლონია | 38 | 11 | 8 | 19 | 40-58 | 41 |
| 16.ჯენოა | 38 | 9 | 9 | 20 | 38-64 | 36 |
| 17.კროტონე | 38 | 9 | 7 | 22 | 34-58 | 34 |
| 18.ემპოლი | 38 | 8 | 8 | 22 | 29-61 | 32 |
| 19.პალერმო | 38 | 6 | 8 | 24 | 33-77 | 26 |
| 20.პესკარა | 38 | 3 | 9 | 26 | 37-81 | 18 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

**პლეი ოფი**

ლორიანი-ტრუა ..... 0:0

**ჰოლანდია. ეროვნივიზიონი**

**პლეი ოფი**

უტრეხტი-ალკმაარი ..... 3:0(4:3პ)

**პლეი ოფი**

როდა-მაასტრიხტი ..... 1:0
ნაიმეგენი-ბრედა ..... 1:4

**პორტუგალია. თასი**

**ფინალი**

ბენფიკა-გიმარაეში ..... 2:1

**ხესეთი. პრემიერლიგა**

**პლეი ოფი**

ორენბურგი-სკა 0:0 ..... (3:5პ)
არსენალი-ენისეი ..... 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-ბაზელი ..... 1:3
ლოზანა-ლუგანო ..... 1:2
ლუცერნი-ვადუცი ..... 2:2
სტ.გალენი-სიონი ..... 1:1
თუნი-იანგ ბოიზი ..... 0:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-აუსტრია ..... 1:6
ვოლფსბერგერი-შტურმი ..... 1:0
რაპიდი-.სტ.პოლენი ..... 2:1
ზალცბურგი-ალტახი ..... 1:0
რიდი-მატერსბურგი ..... 2:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

**პლეი ოფი**

პანათინაიკოსი-პანიონიოსი ..... 1:0
აეკი-პაოკი ..... 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბურსა-გენჩლერი ..... 1:2
ქარაბუქი-ქაისერი ..... 2:2
ოსმანლი-რიზე ..... 1:2
გაზიანთები-ბეშიქთაში ..... 0:4

**ჰოლანდია. ექსტრალიგა**

**პლეი ოფი**

კორონა-ლეგია ..... 0:1
ლეხი-ვისლა ..... 2:1
ლეხია-პოგონი ..... 4:0
ნეცეჩა-იაგელონია ..... 1:2

**დანია. სუპერლიგა**

**პლეი ოფი**

ბრონდბიუ-ნორდსიელანდი ..... 1:2
მიდტიულანდი-ლუნგბიუ ..... 0:3
კოპენჰაგენი-სონდერიისკე ..... 2:0

**პლეი აუტი**

ჰორსენსი-ესბიერგი ..... 3:2
*ესბიერგის მე-2 გოლი ბუდუ ზივზივაძემ გაიტანა*
ორხუსი-ვიბორგი ..... 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰამარბი-იონჩოპინგი ..... 2:2
გიოტებორგი-ელფსბორგი ..... 1:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბრანი-ალესუნდი ..... 1:1
კრისტიანსუნი-სონგდალი ..... 1:1
ლილესტრიომი-ტრომსო ..... 4:1
მიოლდე-სტაბეკი ..... 3:1
ჰაუგესუნდი-სარპსბორგი ..... 0:0
ვალერენგა-რუსენბორგი ..... 1:1

**ჩოგბურთი**

**ხოლან გაროსი**

**ჯაკები**

ტიმი-ტომიჩი ..... 6:4,6:0,6:2
დიმიტროვი-რობერი ..... 6:2,6:3,6:4
პუიე-ბენეტო ..... 7:6,3:6,4:6,6:3,6:4
რამოსი-კოპილი ..... 6:7,6:1,6:4,6:2
კარენო ბუსტა-ფ.მაიერი ..... 6:4,6:2,6:2
კარლოვიჩი-ციციპასი ..... 7:6,7:5,6:4
გარსია ლოპესი-ჟ.მიულერი ..... 7:6,6:7,6:2,6:2
ტრუნგელიტი-ჰალისი ..... 3:6,6:7,7:6,6:4,6:4
დანიელი-იანოვიჩი ..... 6:4,6:4,6:4
რობრედო-ევანსი ..... 5:7,6:4,6:3,6:1
კუკუშკინი-სანდგრენი ..... 6:2,6:1,6:4
ჰაასე-დე მინორი ..... 6:2,6:3,6:1
სებალიოსი-მანარინო ..... 7:5,6:3,6:4
ბელუჩი-ლაიოვიჩი ..... 4:6,7:5,6:4,6:4
ბონზი-მედვედევი ..... 5:7,6:4,6:1,6:1

**ქალები**

მაკაროვა-კერბერი ..... 6:2,6:2
ციბულკოვა-არუაბარენა ..... 6:2,6:1
კუზნეცოვა-მაკჰეილი ..... 7:5,6:4
ვ.უილიამსი-ვანგი ..... 6:4,7:6
კვიტოვა-ბოუსრუაი ..... 6:3,6:2
ბუიუქაჩაი-ლუჩიჩი ..... 6:3,6:3
ბაშჩინსკი-სორიბესი ..... 6:1,6:2
პუიგი-ვინჩი ..... 6:3,3:6,6:2
ცურენკო-კოზლოვა ..... 6:4,6:0
ოსტაპენკო-ჩირიკო ..... 4:6,6:3,6:2
მატეკი-როდინა ..... 7:5,6:2
სასნოვიჩი-გოლუბიჩი ..... 4:6,7:5,6:3
დოდენი-ჯორჯი ..... 6:2,6:3
როჯერსი-ერაკოვიჩი ..... 7:6,6:4
ნარა-ანისიმოვა ..... 3:6,7:5,6:4
ბრენგლი-გორგესი ..... 1:6,6:3,13:11

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

2017, 30 მაისი, №126

# რატომ არის კარგი ძუძუთი კვება

ეკა ირემაშვილი

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ყველა დედას მოუწოდებს, რომ თავისი პატარა ბუნებრივი კვებით აღზარდოს.

რა არის ძუძუთი კვება, რა უპირატესობა აქვს დედის რძეს, როგორია ძუძუთი კვების პრინციპები, რა უპირატესობა აქვს ძუძუთი კვებას დედისთვის, ამ თემებზე იაშვილის საავადმყოფოს ბავშვთა განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, პედიატრი მაია ხერხეულიძე საუბრობს.

**მაია ხერხეულიძე:**

– დედის რძე არის იდეალური საკვები. ჩვენ XXI საუკუნეში ვცხოვრობთ, საოცარი პროგრესი გვაქვს ტექნოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ ქალის რძის ანალოგი ვერ შეიქმნა. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, რომ ბავშვი იყოს ბუნებრივ კვებაზე, რადგან ქალის რძე ცოცხალი ბიოლოგიური სუბსტანციაა, რომელიც მუდმივად იცვლება ბავშვის მოთხოვნილების შესაბამისად და იდეალური საკვებია ახალშობილი და ჩვილი ბავშვებისთვის. იგი შეიცავს ბავშვის ზრდა-განვითარებისთვის საჭირო ყველა ნივთიერებას საუკეთესო თანაფარდობით – ცილები, ცხიმები, მიკროელემენტები, ვიტამინები... დედის რძე ადვილად მოსანელებელია და ადვილად აითვისება, რადგან გარდა იმისა, რომ მასში უამრავი ნივთიერება შედის, დამშლელი ფერმენტიც იქვეა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ დედის რძე არ არის მხოლოდ საკვები, დადგენილია, რომ ქალის რძე შეიცავს ძალიან ბევრ დამცველობით ნივთიერებას, ამიტომ შეიძლება რაღაც მომენტში, როგორც წამალი, ასეც განვიხილოთ. დადგენილია, რომ დედის რძე ამცირებს ძალიან ბევრი დაავადების განვითარების რიკს, მათ შორის დიარეას, სასუნთქი სისტემის დაავადებებს, შუა ყურის ანთებას, ბაქტერიულ მენინგიტს, მწვავე ნეკროზულ ენტეროკოლიტს, ჩვილის უეცარი სიკვდილის სინდრომს, სიმსუქნეს მოზრდილ ასაკში, ალერგიულ დაავადებებს, მათ შორის ასთმას და ატოპიურ დერმატიტს, პირველი და მეორე ტიპის შაქრიან დიაბეტს. არსებობს კვლევები, რომლებიც მიუთითებს, ძუძუთი კვების შემთხვევაში ბავშვთა ასაკში მომავალში ლეიკოზის და ავთვისებიანი სიმსივნეების რისკის შემცირებაზე. დედის რძე შეიცავს ყველა შეუცვლელ ნივთიერებას, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის თითოეული უჯრედის ფუნქციონირებისთვის. მაგალითად, მეცნიერებმა შეისწავლეს დედის რძე, რომელიც აჭმევდა ტყუპ ბავშვებს, ერთს ყოველთვის ერთი ძუძუდან აჭმევდა, მეორეს ყოველთვის მეორედან. როდესაც შეადარეს ეს რძე, ნახეს, რომ შემადგენლობაში იყო განსხვავება. ამისი ახსნა ვერ მოძებნეს, მაგრამ ფაქტი დარჩა ფაქტად. ამის შემდეგ ასეთი ფრაზაც კი შემოვიდა მედიცინაში – ყველა დედას აქვს ისეთი რძე, როგორიც უნდა მის შვილს ამა თუ იმ ეტაპზე.

მაია ხერხეულიძე

დედის რძე უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ბავშვის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე. ის შეიცავს უჯერცხიმოვან მჟავებს. ეს არის ნივთიერება, რომელიც ბავშვისთვის უმთავრესია. ხშირად თევზის ქონის შემცველ პრეპარატებს უნიშნავენ ბავშვებს. ამ ნივთიერებას დღეს უწოდებენ თავის ტვინის არქიტექტორებს. ბავშვებში, რომლებიც ძუძუთი კვებაზე იმყოფებოდნენ, სკოლის ასაკში, როცა კვლევები ჩატარდა, ნახეს, რომ ინტელექტუალური კოეფიციენტი დაახლოებით 10 ქულით უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე ხელოვნურ კვებაზე მყოფ ბავშვებს. ძუძუთი კვება ეს არის საოცარი კავშირი დედა-შვილს შორის, როცა ბავშვი მიჯაჭვულობას სწავლობს მშობლის მიმართ და დედასაც აქვს საოცარი მზრუნველობის უნარი, როცა პატარას ძუძუთი კვებავს.

ძუძუთი კვება ხელს უწყობს ბავშვის ოპტიმალურ ფიზიკურ განვითარებას, ბავშვის გონებრივ განვითარებას, შედარებით მაღალი ინტელექტუალური კოეფიციენტის არსებობას, მხედველობის სრულფასოვან განვითარებას, ბავშვის სახის ძვლების და კუნთოვანი სისტემის განვითარებასა და სწორი თანკბილვის ჩამოყალიბებას, დედა-შვილს შორის მჭირდრო ფსიქოემოციური კავშირის დამყარებას, ბავშვთან უსაფრთხოების გრძნობის და ნდობის ჩამოყალიბებას.

უამრავი კომპონენტია ქალის რძეში, რომელიც არც ერთ სხვა საკვებში არ შედის და ყველა მათგანს აქვს ძალიან დიდი დამცველობითი როლი. დედის რძეში შემავალი დამცველობითი ნივთიერებებია: იმუნოგლობულინები, ლეიკოციტები, ოლიგოსაქარიდები, ბიფიდო-ფაქტორი, ლაქტოფერინი, ლიზოციმი და ა.შ. ასევე ზრდის ფაქტორები, ჰორმონები, ფერმენტები.

***– რას ნიშნავს ზრდის ფაქტორი?***

– დღესდღეობით თვლიან, რომ ზრდის ფაქტორი არის აუცილებელი იმისთვის, რომ როდესაც ბავშვი იბადება, ორგანოები ბოლომდე განვითარებული და კარგად მომწიფებული არ არის და სწორედ ეს ფაქტორები ხელს უწყობს ბავშვის ნორმალურად განვითარებას. მაგალითად, ნერვული ზრდის ფაქტორები ხელს უწყობს, რომ ნერვული სისტემა კარგად ჩამოყალიბდეს.

***– რა უპირატესობა აქვს ძუძუთი კვებას დედისთვის?***

– რა თქმა უნდა, ეს არ არის კარგი მხოლოდ ბავშვისთვის, ძუძუთი კვება ძალიან კარგია დედისთვისაც. ძუძუთი კვება ამცირებს მშობიარობის შემდგომი სისხლდენის რისკს, ხელს უწყობს საშვილოსნოს ინვოლუციას, ამცირებს სარძევე ჯირკვლისა და საკვერცხის სიმსივნის განვითარების რისკს, ხელს უწყობს ქალს, დაიბრუნოს ორსულობამდელი წონა, ოპტიმალური ძუძუთი კვების პრინციპების დაცვა იცავს არასასურველი ორსულობისგან.

***– როგორია ძუძუთი კვების პრინციპები?***

– პირველ რიგში ძალიან მნიშვნელოვანია კვების ადრეული დაწყება დაბადებიდან 1 საათში, მხოლოდ ძუძუთი კვება პირველი 6 თვე, მოთხოვნილებითი ძუძუთი კვება 8-12-ჯერ დღეში, კვება დღისა და ღამის განმავლობაში, 6 თვის შემდეგ ძუძუთი კვების გაგრძელება დამატებით კვებასთან ერთად, ძუძუთი კვების გაგრძელება 2 წლამდე.

დაბადების შემდეგ უმნიშვნელოვანესია კანით კანთან კონტაქტი, როდესაც ბავშვს აწვენენ დედის მკერდზე, როცა ცოტა ხნის შემდეგ იწყებს ძუძუს ძებნას და მოჭიდებას და წოვას. როცა ბავშვი იბადება, სწრაფად კარგავს ტემპერატურას და ასეთ შემთხვევაში, როცა დედის სხეულზე თავსდება, დედა აწვდის იმ ტემპერატურას, რაც სჭირდება. მუცლად ყოფნის პერიოდში 6 თვიდან პატარას ესმის და ძალიან კარგად ესმის გულისცემაც, ამიტომ, როგორც არ უნდა ტიროდეს ახალშობილი, როგორც კი დააწვენენ დედის სხეულზე, საკმარისია 5 წუთი და მომენტალურად ჩუმდება, იმიტომ, რომ იგივე გულისცემა ესმის, რაც მუცლადყოფნის პერიოდში ესმოდა და ხვდება, რომ მართალია სულ სხვა გარემოში მოხვდა, მაგრამ ის ადამიანი, ვინც მას იცავდა და ზრუნავდა, მის გვერდითაა. ბავშვი პირველად იღებს ხსენს. როცა ვეკითხებით დედებს, როდის მოგვიდა რძე, ყველა ამბობს, რომ მესამე-მეოთხე-მეხუთე დღეს, ხსენი არის მცირე რაოდენობით, თუმცა მაღალკალორიულია და ხშირი კვების შემთხვევაში სრულად აკმაყოფილებს ბავშვის მოთხოვნებს, უზრუნველყოფს ინფექციისგან და ალერგიისგან დაცვას, მდიდარია ვიტამინებით და ცილის ადვილად მოსანელებელი ფრაქციებით, ხელს უწყობს ბავშვის პირველი განავლის გამოყოფას და მეტ-ნაკლებად იცავს სიყვითლისგან, ხელს უწყობს ნაწლავების მომწიფებას, იცავს ალერგიის გამოვლინებისაგან და ზოგიერთი ნივთიერების აუტანლობისაგან, ხელს უწყობს მხედველობის განვითარებას.

***– რა მნიშვნელობა აქვს, როგორ იღებს ბავშვი ძუძუს?***

– აუცილებელია სწორი მოჭიდება, ამ დროს ბავშვის პირი ფართოდაა გაღებული, ტუჩები გადმობრუნებულია, არეოლის დიდი ნაწილი მოთავსებულია ბავშვის პირის ღრუში, არეოლას მეტი ნაწილი ჩანს ზედა ტუჩიდან, ვიდრე ქვედადან, ბავშვი წოვს ნელა და ღრმად, 1-2 წოვას მოყვება ყლაპვა, ისმის დამახასიათებელი ხმა, ბავშვის ნიკაპი მიბჯენილია ძუძუზე, თუ ბავშვი სწორადაა მოჭიდებული ძუძუს და რძე გამოიყოფა, კვების პროცესი უმტკივნეულოდ მიმდინარეობს.

***– როგორია ძუძუთი კვების სწორი პოზიციები?***

– არსებობს აკვნის პოზიცია, ზურგზე წოლის პოზიცია, გვერდზე წოლის პოზიცია, რაგბის ბურთის პოზიცია. ძუძუთი კვების დროს მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის თავი და სხეული იყოს ერთ ხაზზე, ბავშვი მთელი სხეულით იყოს მობრუნებული დედისკენ და ახლოს იყოს დედის სხეულთან, დედას ეჭიროს ბავშვი და დაფიქსირებული ჰქონდეს კისერი.

***– როგორ მივხვდეთ, ბავშვს დედის რძე ყოფნის თუ არა?***

– თუ ბავშვი თვეში იმატებს მინიმუმ 500 გრამს, ე.ი. ბავშვს დედის რძე აკმაყოფილებს. ამაზე კარგი ნიშანია შარდვის სიხშირე, ეს არის 24 საათში მინიმუმ 6-ჯერ სიცოცხლის მეოთხე დღის შემდეგ. ასევე ნაწლავთა მოქმედების სიხშირე და განავლის კონსისტენცია – 1-3 დღე-ღამეში, პირველი 48 საათის შემდეგ, მოყვითალო ფერის ფაფისებრი კონსისტენციით და რაც მთავარია, ახალშობილის ქცევა – კმაყოფილი და მშვიდი ყველა კვების შემდეგ.

## კალეიდოსკოპი

### მძიმე მუსიკის ფესტივალს სასმელით ლუდსადენი მოამარაგებს

გერმანული მუსიკის ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს ლუდს მიწისქვეშა ლუდსადენით მიაწვდიან. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

მილების ქსელი, რომლითაც ფესტივალი ლუდით მომარაგდება, მიწისქვეშ 70 სანტიმეტრის სიღრმეზე განთავსდება, ხოლო მისი სიგრძე დაახლოებით შვიდი კილომეტრი იქნება.

ადრე ლუდი ყოველდღე სატვირთო ავტომობილებით მიჰქონდათ. ყოველ წელს მძიმე მუსიკის ფესტივალს დაახლოებით 75 ათასი ადამიანი სტუმრობს. სამი დღის განმავლობაში ისინი საშუალოდ 5,1 ლიტრ ლუდს სვამენ.

წელს გერმანიაში მუსიკის ფესტივალი 3 აგვისტოს გაიხსნება და 5 აგვისტოს ჩათვლით გაგრძელდება. სავარაუდოდ, მასში 150 მუსიკალური ჯგუფი მიიღებს მონაწილეობას.

### მამაკაცი გატაცებული სატვირთოთი ბორდელს შეეჯახა

ამერიკის ნევადის შტატში მამაკაცი, რომელიც სატვირთო მანქანის საჭეს მართავდა, ლეგალურ ბორდელს შეეჯახა, რომელიც რეალითი-შოუ ჩატ-ზოუსე-თი გახდა ცნობილი.

ინციდენტი 25 მაისს გამთენიისას მოხდა. სატვირთო ყვითელ კაბინიანმა ავტომობილმა მოულოდნელად დაწესებულების კარი შეამტვრია და ნაგებობის ნაწილი დააზიანა.

მანქანის საჭესთან 40 წლის ბრაიან ბრანდტი იჯდა. მას ეცვა ჯავშანჟილეტი და ეკეთა ნიღაბი. მძღოლი დააკავეს და მას სამი პუნქტით წარედგინა ბრალი. ბორდელის მფლობელის დენის ჰოფას თქმით, არც თავად და არც მის დაწესებულებაში მომუშავე არც ერთი თანამშრომელი არ იცნობს ბრანდტს.

ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა მანქანის შეჯახებამ, ისინი საკმაოდ შეაშინა. ბორდელის მფლობელის თქმით, დაწესებულების ზარალი 400 ათას დოლარს შეადგენს.

გაირკვა, რომ სატვირთო მანქანა ნევადის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ტერმინალიდან იყო გატაცებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპრომნოზი

### 30 მაისისათვის

**ვერძი** – კარგი დროა ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **კურო** – ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ტყუპები** – იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **კირჩხიბი** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. შემოქმედებითი პროფესიის ადამიანები ხელსაყრელ შემოთავაზებას მიიღებთ. **ლომი** – ბედი გწყალობთ. ნებისმიერი საქმე ხელგეწიფებათ. ნუ დაიძაბებით. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. გელით კარიერული წინსვლა. **სასწორი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილისმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **ღრიანკალი** – საოჯახო საქმეები დიდ დროსა და ენერგიას დაგახარჯვინებთ, თუმცა შედეგით კმაყოფილი დარჩებით. ერიდეთ წვრილმან საქმის გარჩევებს. **მშვილდოსანი** – მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ. **თხის რქა** – მატერიალურ სფეროში გაუმჯობესება შეინიშნება. ნუ გარისკავთ. **მერწყული** – კოლექტიური მუშაობა არ გაამართლებს. სიტუაცია გონივრულად შეაფასეთ. **თევზები** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს.

**გისუხვებთ ბედნიერ დღეს!**

## ჯოსვოხდი ბ

**შვეულად:** 1. მძარცველის, ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 2. გადასახადების ამკრეფი დაწესებულება ძველად; 3. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 4. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 5. ულელტეხილი კავკასიონზე; 7. გემის სამზარეულო; 11. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 12. ქრისტიანთა საღმრთო წიგნების კრებული; 13. გემის, თვითმფრინავის დაქირავება გარკვეული დროითა და პირობებით; 14. ადამიანის თავის მქონე მწოლიარე ლომის გიგანტური ქანდაკება ეგვიპტეში; 15. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 17. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი; 19. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი.

**თარაზულად:** 5. ბაზრის ძველებური სახელწოდება; 6. ისტორიულ მოვლენათა ქრონოლოგიური ჩანაწერი; 8. კამეჩის ნაშიერი; 9. საქართველოში გავრცელებული ტროპიკული მცენარე, რომლისგანაც ღებულობენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 10. ძვლების ანთება; 11. ძველებური რბილი, დაბალყელიანი ტყავის ფეხსაცმელი; 13. სამეგრელოში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 14. სამკუთხა კორეის დედაქალაქი; 16. ჩამქრალი ვულკანი თრიალეთის ქედზე; 18. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდი; 20. მოხარშული და გადაზელილი ყველი; 21. თამბაქოს წარმოების ცენტრი თურქეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. პარაბოლა; 6. კავინტონი; 9. კიმონო; 10. ვალეტი; 11. ალისა; 13. შტაბი; 15. კურარე; 18. მაისი; 21. დინოზავრი; 22. ნამგალი; 23. მარადია.

**შვეულად:** 1. მანდილი; 2. მანავი; 3. კვარტეტი; 4. კიდობანი; 7. მოლიბდენი; 8. მოლაღური; 12. სტუდენტი; 14. ბურატინო; 16. კალანდა; 17. კრამიტი; 19. ავლა; 20. აგნი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. იდიია; 2. წრიაპი; 3. კია; 4. აი; 5. ნუგა; 6. გარანტია; 7. ტახი; 8. ბენუარი; 9. კანოტიე; 10. არაგაწი; 11. ამბოხება; 12. მარატ; 13. ბლე; 14. ტიარა; 15. ეტლი; 16. ხივა; 17. გორდა; 18. იშხანი; 19. ია; 20. სტოპერი; 21. სტიგმა; 22. ალია; 23. ლავრა; 24. ხაბარდა; 25. რაზა; 26. არხოტი; 27. ანტი; 28. დონ; 29. ანი; 30. პელე; 31. ვიტალური; 32. ტოლედო; 33. ლაპი; 34. და.

**სურათზე:** ნიკოლ შერზინგერი; გაბრიელ ბატისტუტა.

# არენა დი ვერონას ფესტივალის გახსნაზე 4 ქართველი იმღერებს



კლასიკური მუსიკის მოყვარული მსმენელი წლიდან წლამდე მოუთმენლად ელის არენა დი ვერონას ფესტივალის დაწყებას, რადგან ეს ფესტივალი მსოფლიოში აღიარებულ საოპერო ვარსკვლავებს აერთიანებს.

წელს არენა დი ვერონას ფესტივალი ჯუზეპე ვერდის „ნაბუქო“-თი გაიხსნება. საოპერო სპექტაკლში მონაწილეობას 4 ქართველი შემსრულებელი მიიღებს – ნინო სურგულაძე, მადინა კარბელი, გიორგი გაგნიძე და მიხეილ შეშაბერიძე.

**მადინა კარბელი:**

– შემომაქვს წინადადება: არენა დი ვერონას ვანო სარაჯიშვილის სახელი მივანიჭოთ და ვერონა საქართველოს კულტურულ დედაქალაქად გამოვაცხადოთ! ჰა, რას იტყვით?

# მზიურის აღდგენილი კარიბჭე გაძარცვეს

ბავშვთა ქალაქი მზიური ერთი წლის წინ ახალგაზრდა მოხალისეების ინიციატივით განახლდა, გაიხსნა სპეციალური კაფე, რომელიც ყველა თაობის ვიზიტორზეა გათვლილი.

იმის მიუხედავად, რომ მზიურში დაცვაც არის და ხალხიც გვიანობამდე სეირნობს, ბოროტმოქმედებმა მისი აღდგენილი კარიბჭის გაძარცვა მაინც მოახერხეს.

ინფორმაცია „ახალი მზიურის“ მესვეურებმა გაავრცელეს:

– ალბათ გახსოვთ, როგორ გვიხაროდა ერთი წლის წინ ქალაქ თბილისის მერიის მიერ მზიურის აღდგენილი კარიბჭის ამბავი, სადაც 90-ან წლებში გაძარცული ძეგლები ისევ მისი ავტორის, გია ჯაფარიძის უშუალო ჩართულობით იქნა აღდგენილი. სამწუხაროა, რომ ამ ფოტოს დადება გვიწევს. რამდენიმე დღის წინ, ღამე ცდილობდნენ ჩიტების და სხვა ცხოველების მოჭრას და მოპარვას. საბედნიეროდ, დაცვამ დროულად შეამჩნია და მოჭრილი ჩიტების წაღება ვერ მოასწრეს, თუმცა ძეგლი დაზიანებულია და დამნაშავე გაქცეული... ისევ თხოვნით მივმართეთ მერიას და რამდენიმე დღეში ჩიტებს დაამაგრებენ ადგილზე, თუმცა გული სულ სხვა რამეზე გვწყდება – როცა გაკეთებულს აფუჭებენ, აზიანებენ და არ ფიქრობენ იმაზე, თუ რამდენი შრომაა ამ ყველაფრის გაკეთებისას ჩადებული.

# თაკო გაჩეჩილაძის ევროვიზიისთვის შექმნილი კაბა კრიტიკის საგანი გახდა

ევროვიზია 2017-ზე საქართველო თაკო გაჩეჩილაძემ წარადგინა, რომელსაც ულამაზესი წითელი კაბა დიზაინერმა ლაშა ჯოხაძემ შეუკერა. რამდენიმე საათის წინ მსოფლიოში ცნობილმა მომღერალმა ნიკი მინაჟმა სოციალურ ქსელში ახალი ფოტო ატვირთა, რომელშიც წითელი კაბა აცვია და ის ძალიან ჰგავს ქართველი დიზაინერის მიერ შექმნილ კაბას.

ქართველი კრიტიკოსებისთვის დიზაინერმა ლაშა ჯოხაძემ განმარტება გააკეთა:

– ვრცელი „გარჩევითი“ ხასიათის იაფფასიანი კომენტარებით რომ არ გამოვირჩევი, ალბათ შემჩნეული გექნებათ, არც დრო მაქვს ამის და არც სურვილი, თუმცა ძალით აგორებულ, დაუსრულებელ, თითიდან გამოწოვილ „ბრალდებებს“ პასუხი უნდა გავცე! ევროვიზიას, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა შემთხვევას, რომელსაც ხელს ვკიდებ მე, დიზაინერი ლაშა ჯოხაძე, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მთელი გულით და სულით ვიმუშავე ჩვენი ქვეყნის ღირსეულად წარსადგენად, რაც ასეც მოხდა, ყველამ ერთხმად აღიარა, რომ საქართველო ასეთი ეფექტური ევროვიზიის სცენაზე არასოდეს ყოფილა, რისთვისაც მე ქსოვილი უცხოეთში შევიძინე, ჩემს გუნდთან ერთად ყველა შტრიხზე ვიმუშავე და ვთვლი, რომ ჩვენი შრომა დაფასდა მსოფლიოს თვალში, განსხვავებით იმ ადამიანებისა, ვინც სასაცილო არგუმენტებით ცდილობს საკუთარი „ჭიის გახარებას“. ქსოვილზე, რომლის შესაძენად სპეციალურად სხვაგან გავემგზავრე, ექსკლუზივს არ ვფლობდი, თუ ნიკი მინაჟის დიზაინერმაც სადღაც, ოდესღაც ამავე ნაჭერზე გააკეთა არჩევანი, ამაზე ინფორმაცია საერთოდ არ მქონდა, ფოტო გუშინ ვნახე პირველად. რაც შეეხება, პარალელს ჟივენშის ერთ-ერთ კაბასთან, თვალსაჩინოებისთვის გთავაზობთ სამივეს! ამ თემაზე დამატებით დებატებს აღარ ვაპირებ, ძალიან ბევრი საქმე მაქვს! წარმატებები საქართველოს აღნიშნულ კონკურსზე სამომავლოდ!

თაკო გაჩეჩილაძის დაუსრულებელ კრიტიკას გამოეხმაურა მისი მეგობარი, მომღერალი ანრი ჯოხაძეც:

– იმ ადამიანების საყურადღებოდ, ვინც თაკოს კაბას აკრიტიკებდით, რომელიც ლაშა ჯოხაძემ შექმნა მინიმუმ ერთი თვის წინ. დაახლოებით 16 საათის წინ ნიკი მინაჟმა საკუთარ ინსტაგრამზე გამოფინა ეს ფოტო. მგონი, ჩვენი ჯობია!

# რუსებმა ილორს სახელი გადაარქვეს

აფხაზეთში მდებარე ერთ-ერთი უნიკალური ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ილორი კვლავ რუსების სამიზნეა. ოკუპანტებმა ჯერ ტაძრის კედლები გაათეთრეს, შემდეგ ხახვისებური გუმბათი დაადგეს, ახლა კი ეკლესიას სახელიც შეუცვალეს.

ინფორმაცია ამის შესახებ ისტორიკოსმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

– ვინც მუსლიმი აჭარლების ლოცვას აღშფოთებული იზიარებს და წუხს, ვურჩევ, აი ეს გააზიაროს. ილორისათვის მართლმადიდებელ ერთმორწმუნეებს იერსახესთან ერთად, სახელიც შეუცვლიათ და „ელირი“ დაურქმევიათ! ჩვენი „გარეთ მხდალი და შინ ძლიერი“ თანამემამულეები კი ბათუმში გაგონებულ მუსლიმურ ლოცვაზე წუხან!

**სპორტი**

# შენგელია ნახევარფინალშია, შერმადინის გარჯამ ანდორას ვერ უშველა

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები

თორნიკე შენგელიას ბასკონია ესპანეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა. ვიტორიულმა კლუბმა მეოთხედფინალური სერიის მესამე, გადამწყვეტ მატჩში დაძაბულ ბრძოლაში – 73:71 სძლია გრან კანარიას და პლეი ოფის მომდევნო რაუნდში გააღწია.

შენგელია თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 12 წუთში მეტოქის ფარისთვის საერთოდ არ შეუტევია. ქართველ ფორვარდს აქტივში 2 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება ჰქონდა, პასივში კი 3 პერსონალური ფოლი და 5 დაკარგვა.

ბასკონიას მეტოქე ნახევარფინალში ვალენსია იქნება, რომელმაც მეოთხედფინალში საერთო ანგარიშით – 2:1 სძლია ბარსელონას. ნახევარფინალიდან სერია 3 მოგებამდე გრძელდება. მოედნის უპირატესობა კი შენგელიას გუნდს ექნება.

გიორგი შერმადინმა კი სეზონი საკადრისად, მოწოდების სიმაღლეზე ჩაატარა. მისი ანდორა ღირსეულ ბრძოლაში დამარცხდა მადრიდის რეალთან და ესპანეთის ჩემპიონატში ასპარეზობა მეოთხედფინალურ ეტაპზე დაასრულა. სერიის გადამწყვეტ, მე-3 მატჩში ანდორელები სტუმრად ბოლომდე ებრძოდნენ სამეფო კლუბს, დასკვნით მეოთხედში ანგარიშიც გაუთანაბრეს (71:71), თუმცა მასპინძლებმა გადამწყვეტ წუთებში ანდორელებს გამარჯვება გამოგლიჯეს და ნახევარფინალში გავიდნენ – 95:84.

შერმადინი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და 31 წუთში 21 ქულა, 6 მოხსნა (3 შეტევაში), 2 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. ქართველმა ცენტრმა 13-დან 8 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო.

შედეგად, შერმადინის სარგებლიანობის კოეფიციენტი 22-ს გაუტოლდა, რაც სტუმართა რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო, მასპინძელთაგან კი მას მექსიკელმა ცენტრმა გუსტავო აიონმა (25) აჯობა – 15 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება.

სამწუხაროდ, ისევ ვერ ითამაშა ბექა ბურჯანაძემ, რომელსაც ფეხის ტრავმა აქვს და მისი მიზანი ახლა სანაკრებო შეკრებისთვის მწყობრში ჩადგომაა. 15 ივლისამდე საკმარისი დროა, ბურჯანაძემ ტრავმა მოიშუშოს, ხოლო გიორგი შერმადინმა მომქანცველი და წარმატებული სეზონის შემდეგ დაისვენოს.

საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულმა ამერიკელმა კალათბურთელის, მაიკლ დიქსონის აეკმა საბერძნეთის ჩემპიონატის მე-3 ადგილისთვის სერიაში პირველი მატჩი ჩაატარა და ვიქტორ სანიკიძის არისს 90:74 სძლია.

დიქსონმა მოედანზე 29 წუთი გაატარა და ორმაგ დუბლამდე 1 პასი დააკლდა. მაიკლმა 7-დან 3 ორქულიანი და 7-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, 4 სამქულიანი ააცილა და 11 ქულას 9 პასი, 1 მოხსნა და 1 ჩაჭრა წაამატა. სანიკიძეს კი ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გაუცდა.

სალონიკელები მეტოქეს განმეორებით მატჩში უმასპინძლებენ.

# ტორპედომ ზედიზედ მეხუთედ მოიგო, ლოკომოტივმა მეხუთედ წააგო

დასაწყისი მე-9 გვერდზე

**საბურთალო-ჩიხურა 1:2**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

0:1 ტატანაშვილი (10პ), 1:1 კაშია (23სკ), 1:2 ივანიშვილი (30)

**საბურთალო:** კუპატაძე, შინდაგორიძე (მალი 53), ლაკვეხელიანი (არზიანი 68), ცნობილაძე, გრიგალაშვილი, მამუჩაშვილი, ელვინ ტერა (ბიძინაშვილი 42), ვაგნერი, ხარაიშვილი, ფანცულაია, ფანცულაია, კოხრეიძე

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, განუგრავა, სარდალიშვილი, კორიფაძე, ტატანაშვილი, კაკუბავა, ივანიშვილი (გელაშვილი 84), ჩიკვაიძე, კაშია, გორგიაშვილი (გრიგალაშვილი 75), დეკანოიძე (ლექვთაძე 89)

მნიშვნელოვანი შეხვედრა მოიგო საჩხერის ჩიხურამ. იმერული კლუბი საბურთალოს ესტუმრა და დაძაბულ შეხვედრაში 2:1 დაამარცხა მეტოქე.

მატჩი ორმხრივი შეტევებით წარიმართა და სახიფათო მომენტები ორივე გუნდის კართან მრავლად შეიქმნა. ანგარიში მე-10 წუთზე გაიხსნა, მიშიკო სარდალიშვილის წაქცევის გამო დანიშნული პენალტი ზუსტად დიმიტრი ტატანაშვილმა შეასრულა. სწრაფმა გოლმა საბურთალოელებზე არ იმოქმედა და გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმა წონასწორობა მალევე აღიდგინა. 23-ე წუთზე ვაგნერ გონსალვეშის გამჭოლი პასის შემდეგ ბურთი საკუთარ კარში შოთა კაშიამ ჩაჭრა.

მატჩი იგივე სცენარით გაგრძელდა და გატანას ორივე გუნდი ცდილობდა. საბოლოოდ მიზანს საჩხერელებმა მიაღწიეს. 30-ე წუთზე ლევან კაკუბავას პასის შემდეგ დასარტყმელ პოზიციაზე გიორგი ივანიშვილი აღმოჩნდა. შემტევის პირველი დარტყმა მეკარემ მოიგერია, მაგრამ დამატებაზე ყველას ისევ ივანიშვილმა დაასწრო და პრაქტიკულად ცარიელ კარში გაიტანა.

მე-2 ნახევარში ტერიტორიულ უპირატესობას საბურთალო დაეუფლა და ჩიხურა ძირითადად კონტრშეტევებზე მოქმედებდა. იმერლებმა თავი კარგად დაიცვეს, ანგარიში შეინარჩუნეს და აქტივში მორიგი 3 ქულა ჩაიწერეს.

**ლოკომოტივი-შუქურა 0:3**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

0:1 კალანდაძე (13), 0:2 გურული (16), 0:3 კუტალია (45)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ჭანტურია, სიხარულიძე, ქავთარაძე (დიასამიძე 35), კომახიძე, ხიდეშელი, ღონღაძე (მუზაშვილი 70), არველაძე, გაბაძე (მენთეშაშვილი 46), უბილავა, არდაზიშვილი

**შუქურა:** სტურუა, ცეცხლაძე, კალანდაძე, ბ.მახარაძე, კუტალია, ჯეფინიო, არქანია (ართმელაძე 80), კლიმიაშვილი, შალამბერიძე (მალაზონია 70), აგურული (დაგარგულია 52), ჩაჩუა

ქობულეთის შუქურამ მიმდინარე სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა. ქობულეთელები სტუმრად თბილისის „ლოკომოტივს“ დაუპირისპირდნენ და დამაჯერებლად 3:0 დაამარცხეს მეტოქე. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული შეხვედრა შუქურას მთავარი მწვრთნელის რანგში გიორგი შაშიაშვილისთვის პირველი იყო.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, ის ქობულეთელთა უპირატესობით წარიმართა და მასპინძლებმა მეტოქეს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. ანგარიში მე-13 წუთზე გაიხსნა, ირაკლი კლიმიაშვილის მოწოდებული კუთხურის შემდეგ თავური დარტყმით ირაკლი კალანდაძემ გაიტანა. აჭარლებმა მეორე გოლის გატანაც მალევე მოახერხეს. მე-16 წუთზე მცველების შეცდომით ალექსანდრე გურულმა ისარგებლა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილს გატანა არ გასჭირვებია. შეხვედრის საბოლოო ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს დაფიქსირდა. მსაჯის მიერ კონპენსირებულ დროში ლევან კუტალიამ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით ეროვნულ ლიგაში მეოთხე გოლი გაიტანა.

მე-2 ტაიმში ლოკო ბევრს ეცადა მეტოქის კართან რამდენიმე არცთუ ისე სახიფათო მომენტიც შექმნა, მაგრამ თამაშის შემობრუნება ვერ მოახერხა და ზედიზედ მეხუთედ დამარცხდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 15 | 11 | 1 | 3 | 31-9 | 34 |
| 2.ტორპედო | 15 | 9 | 4 | 2 | 22-10 | 31 |
| 3.სამტრედია | 15 | 8 | 2 | 5 | 20-17 | 26 |
| 4.ჩიხურა | 15 | 7 | 2 | 6 | 20-20 | 23 |
| 5.ლოკომოტივი | 15 | 6 | 3 | 6 | 27-20 | 21 |
| 6.საბურთალო | 15 | 6 | 1 | 8 | 19-19 | 19 |
| 7.დილა | 15 | 4 | 7 | 4 | 15-15 | 19 |
| 8.დინამო (ბთ) | 15 | 5 | 1 | 9 | 14-22 | 16 |
| 9.კოლხეთი | 15 | 4 | 3 | 8 | 15-25 | 15 |
| 10.შუქურა | 15 | 1 | 4 | 10 | 11-37 | 7 |

**ბომბარდირები:** ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი) – 11 ბურთი; ბაჩანა არაბული (დინამო თბ) – 9, მიკოლა კოვტალიუკი (კოლხეთი), მამია გავაშელიშვილი (ლოკომოტივი), დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 8-8.

## პროგრამა

**სამშაბათი 30 მაისი**

**07.00** დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ქვეყნი ხიდის საიდუმლო**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "გურმანია" **14.20** "წიგნების თარო" **15.00, 02.40** "C სტუდია" **16.15** "ეკონომეტრი" **16.30** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **17.00, 03.40** "რეალური სივრცე" **18.30** "ხანმოკლე XX საუკუნე" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** სპორტული თოქ-შოუ. სპორტი 360 **23.00** მხ/ფ "**უამრავი საიდუმლო**" **01.00** მხ/ფ "**განქორწინება**"

**08.00** დოკ/ფ "ვენჯოუს ფირმის ფეხსაცმელი" **09.00** დოკ/ფ "ევროპის შუაგულში" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** "აფხაზეთი" **11.00** დოკ/ფ "კაპურის მიერ დანახული სამყარო" **12.00, 22.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დოკ/ფ "ანატოლიის გარგარი" **15.00, 18.00, 20.40**"ბრიფინგის დრო" **17.00** დოკ/ფ "ნამდვილი და თვითმარქვია ჟანა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **23.00** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" რუსულ ენებზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. "**კატერინა და მისი ქალიშვილები**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.10** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ცოდნა ფულია **23.30** მხ/ფ "**ქაოსი**" **01.30** მხ/ფ "**სიზმრები**" **03.25** მხ/ფ "**ღამის რეისი**"

**06.00, 18.30** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი

**08.00** ან/სერ. ავატარი **09.00, 13.00** სერ. "**შავი კოდი**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **19.00** სერ. "**გაბოროტებული**" **21.00** სერ. "**ანგარიშსწორება**" **22.30** მხ/ფ "**წვეულება ვეგასში 1-2-3**"

**06.10** სპექტაკლი "**დარისპანის გასაჭირი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **10.45** პატერიკი-აღსარებით ცოდვათა მიტევების შესახებ **10.40** სათავეებთან "სულხან-საბა ორბელიანი" **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მოკ. მხ/ფ "**პიესა ოთხი ხელისთვის**" **12.30** საქართველო ევროპულ ოჯახში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ბავშვები მუზეუმში **15.05** ქართული ან/ფ **15.15** დ/ფ "ველური ბუნება"-ინდოეთის ლომების კვალდაკვალ **15.40** ტალანტები და თაყვანისმცემლები-"რომა რცხილაძე" **16.30** სიმღერის კვალდაკვალ "ურმული" **17.05** ქრისტიანული ხელოვნება "ფრესკების ასლები" **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** სამყაროს შექმნა **19.30** "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" VII ნაწ. **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა "ჩიპი და დეილი, ტომი და ჯერი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ღვთის სახლი "ალიბერგლო" **00.30** საღვთისმეტყველო საუბრები **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "კბილის ფერიები" **8.15** დოკ/ფ "კაცი,ქალი,ბუნება" **9.00** სერ. "**ორი გული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 2.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **22.50** სერ. "**ესკობარი**" **0.00** "კონტაქტი" **0.30** სერ. "**პაემანი**" **2.00** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

**30 მაისისთვის**

აშშ დოლარი — 2.4172

ევრო — 2.7114

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1339

100 რუსული რუბლი — 4.2921

## ამინდის პროგნოზი 30 მაისისთვის

**18 მაისიდან**

თეოდორ დრაიზერი

**ამერიკული ტრაგედია**

I ნაწილი

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**



**25 მაისიდან**

თეოდორ დრაიზერი

**ამერიკული ტრაგედია**

II ნაწილი




**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**


## გარეთ ბეილი ჩემპიონთა ლიგის ფინალს გამოტოვებს?

მადრიდის რეალის უელსელი ფორვარდი გარეთ ბეილი სავარაუდოდ ჩემპიონთა ლიგის ფინალს გამოტოვებს, რადგან უელსელმა ვერ მოასწრო ბოლომდე ტრავმის მოშუშება.

ბეილმა ტრავმა ერთი თვის წინ მიიღო და ექიმების თქმით, ის თითქმის მზად არის სათამაშოდ, მაგრამ ზიდანი სავარაუდოდ არ გარისკავს და ბეილს ძირითად შემადგენლობაში არ დააყენებს.

ბეილისთვის ეს ფინალი განსაკუთრებულია, რადგან ის მის მშობლიურ ქალაქ კარდიფში ტარდება.

ფინალური შეხვედრა 3 ივნისს გაიმართება და რეალის მეტოქე ტურინის იუვენტუსი იქნება. შეგახსენებთ, რომ რეალი შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულია.

## მარკ ანდრე ტერ შტეგენმა ბარსელონასთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა

ბარსელონას გერმანელმა მეკარემ მარკ ანდრე ტერ შტეგენმა კატალონიურ გუნდთან 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც ის ბარსელონას ღირსებას 2022 წლის ჩათვლით დაიცავს.

ტერ შტეგენმა განაცხადა, რომ ძალიან ბედნიერია ბარსელონაში და ეცდება, რომ მომავალში კიდევ უფრო უკეთესად შეასრულოს თავისი მოვალეობები მოედანზე.

ტერ შტეგენი ბარსელონაში 2014 წელს გადავიდა და მას შემდეგ ამ გუნდის მაისურით მან 93 მატჩი ჩაატარა.

წლევანდელ სეზონში ის ბარსელონას პირველი გოლკიპერი იყო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი

ქალი სექსოპათოლოგს შესჩივის:

– ექიმო, ქმარი ჩემ მიმართ გაცივდა. იქნებ მიშველოთ რამე?

– აი, აიღეთ ეს უახლესი წამალი. ჯერ გამოცდაც კი არ გაუვლია ბოლომდე... ორი ცალი მიეცით და მერე მომიყევით, როგორ იმოქმედა...

ორი დღის შემდეგ ქალი ექიმთან ისევ მივიდა და ეუბნება:

– ექიმო, პირდაპირ სასწაულია!

– უშველა?

– უშველა! როგორც კი მიიღო, ოც წუთში ორჯერ ზედიზედ, შემდეგ საღამოს კიდევ სამჯერ. ღამე ორჯერ გამაღვიძა, დილით სამსახურში წასვლის წინ, შესვენებაზე შემოირბინა და საჭმელი არც კი გახსენებია, მერე სამუშაოს შემდეგ კიდევ ერთხელ, შემდეგ საჭმელი შეჭამა და სიკვდილის წინ კიდევ ორჯერ...

●●●

ინგლისელ ლორდს მოსამსახურე მოახსენებს:

– სერ, თქვენი მეუღლე თქვენს მეზობელ ალენ ბრედლისთან ერთად გაიქცა.

– გასაგებია, ჯონ. გადაეცით კეტის, რომ მაგიდა ერთი პერსონით ნაკლებზე გაშალოს.

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, ჩემი აზრით, ჩვენს ბავშვს ცუდ მაგალითს აძლევ.

– რა მოხდა?

– რა და მისი პირველი სიტყვები იყო: „აბა, ამოისუნთქე!“

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– პრინცესა დიანას ორეულების კონკურსში მესამე ადგილი დავიკავე.

– ავარიამდე თუ ავარიის შემდეგ?

●●●

ექიმი პაციენტს ეკითხება:

– ეწევით?

– არა.

– სვამთ?

– არა.

– თავს ნუ იტანჯავ, მაინც მოგიძებნით რამეს!

●●●

ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– დიდი ფული ადამიანს აფუჭებს, ცოტა – აბოროტებს.

– ბევრი, ბევრი საშუალო ფული მინდა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




**23 მაისიდან**

ლაშა იმედაშვილი

**სამი მკვლელობა ძველ თბილისში**

**პატრიარქის ზაფხული**

ქართული დეტექტივი

ტომი 13

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


## ბასილაშვილმა როლან გაროსი მოგებით დაიწყო

საფრანგეთში დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირი ჩოგბურთი – როლან გაროსი. საქართველოს პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი პირველ წრეში მასპინძელ ჟილ სიმონს დაუპირისპირდა და 4 სეტში ანგარიშით 1:6; 6:2; 6:4 6:1 სძლია და როლან გაროსის მომდევნო ეტაპზე გავიდა. ბასილაშვილმა მძიმედ დაიწყო და პირველი სეტიც მარტივად დათმო. პირველი გეიმის მოგების შემდეგ მეტოქეს ზედიზედ 6 გეიმი დაუთმო.

თუმცა მეორე სეტიდან უკვე თავად იყო კორტზე ბატონ-პატრონი. ბასილაშვილმა მე-2 სეტში 2 გეიმი აართვა მეტოქეს და 6:2 მოუგო. კარგად დაიწყო მე-3 სეტიც – მეტოქეს პირველივე გეიმი აართვა, მაგრამ იქვე დაუთმო. ეს არ იყო პირველი შემთხვევა – ბასილაშვილი დააბრეიკებდა მეტოქეს და იქვე უთმობდა. თუმცა, ბოლოსკენ მეტი ყურადღება გამოიჩინა და 6:4 მოიგო.

მე-4 სეტი კი გაცილებით იოლად მოიგო. საბოლოო ჯამში ბასილაშვილმა მსოფლიოს 31-ე ჩოგანს მარტივად სძლია.

დიდი სლემის მომდევნო ტურში კი ქართველი ჩოგბურთელი სერბ ვიქტორ ტროიცკის შეხვდება, რომელიც ამჟამად მსოფლიო რეიტინგში 32-ე ადგილს იკავებს.

მოამზადა მისიელ ჟორჟოლიანმა

## ლევან მჭედლიძის ემპოლი სერია ბ-ში გავარდა

ემპოლი, რომელშიც ქართველი ფორვარდი ლევან მჭედლიძე თამაშობს, სერია ბ-ში გავარდა. ემპოლიმ ბოლო ტურში სტუმრად პალერმოსთან წააგო 1:2, ხოლო მისმა კონკურენტმა კროტონემ საკუთარ მოედანზე ლაციო დაამარცხა, ამიტომ ემპოლი იტალიის უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა.

მჭედლიძე პალერმოსთან მატჩის განაცხადში იყო, მაგრამ მოედანზე არ გამოსულა, რადგან მას ისევ აწუხებს ტრავმა.

რთული სათქმელია, გააგრძელებს თუ არა ქართველი ფორვარდი კარიერას ემპოლიში, რადგან სერია ბ-ში თამაში არცთუ მომხიბვლელი პერსპექტივაა.

მჭედლიძემ ამ სეზონში იტალიის ჩემპიონატში 6 გოლის გატანა შეძლო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ჯოსვოხდი ა



**შვეულად:** 1. ხელოვნების მუზეუმი ლოს ანჯელესში; 2. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 3. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 4. ფეხსაცმლის საპირედ გამოყენებული მაღალხარისხოვანი თიკნის ტყავი; 5. ისტორიული ციხე-სიმაგრე ახალციხეში, სამცხის მმართველთა რეზიდენცია; 6. ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მესხეთში; 10. სანადირო თოფებისა და ავტომატური შაშხანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 11. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრიწყაროს რაიონში; 14. ძლიერი სულიერი განცდის გამოვლინება; 15. აპრილის თვის ქართული სახელწოდება; 16. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 1. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი წყლის წყარო; 4. ფრანგული ლიქიორი; 7. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 8. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 12. ქართველი მწერალი, რომან „რკინის თეატრის“ ავტორი; 13. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 14. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი; 17. ფულის გამოშვება; 18. კრიტიკული, უნდობლური დამოკიდებულება, დაეჭვება რაიმეს სისწორეში; 19. პატარა სამკუთხა ალამი; 20. შიშით გამოწვეული მღელვარება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა